საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
THE CENTER FOR STRATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA

# წლიური ანგარიში

# ANNUAL REPORT

# 2 0 1 2

თბილისი

# სარჩევი

**ალმასრულებელი დირექტორის სიტყვა** .......... 4
**I. ორგანიზაციის შესახებ** .......... 8
**II. ორგანიზაციის მმართველობის სტრუქტურა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა** .......... 18
**III. პროგრამული საქმიანობის ანგარიში** .......... 29
• პროგრამა -სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება .......... 31
*თემის განვითარების ქვეპროგრამა* .......... 31
*საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ქვეპროგრამა* .......... 40
• პროგრამა -კარგი მმართველობის ხელშეწყობა .......... 50
*თვითმმართველობის განვითარების ქვეპროგრამა* .......... 50
*კვლევები და რეფორმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა* .......... 59
• პროგრამა -კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა .......... 72

დანართები

დანართი 1 . 2012 წლის პროექტები .......... 79
დანართი 2 . დონორები და პარტნიორები .......... 80
დანართი 3. 2012 წელს სათემო ახალგაზრდული ცენტრების მიერ წარმატებით განხორციელებული ინიციატივეი .......... 81
დანართი 4. 2012 წელს ჩატარებული ტრენინგები და კონსულტაციები .......... 85
დანართი 5. 2012 წლის გამოცემები .......... 88
დანართი 6 . 2012 წლის ფინანსური ანგარიში .......... 89



# CONTENTS

**Statement from the Executive Director** .......... **4**
**I. About the Organisation** .......... **8**
**II. Governance Structure and Stakeholder Engagement** .......... **18**
**III. Program Report on our Activity** .......... **29**
• Program – Strengthening the Civil Society Institutions .......... 31
*Community Development* .......... 31
*Development of Civil Society Organizations* .......... 40
• Program - Promoting Good Governance .......... 50
*The local government development* .......... 50
*Research and promotion of reforms* .......... 59
• Program - Promoting Development of Corporate Social Responsibility .......... 72

ANNEXES

Annex 1. Projects implemented in 2012 .......... 79
Annex 2. Donors and Partners .......... 80
Annex 3. Successful Initiatives of Community Youth Centers in 2012 .......... 81
Annex 4. Trainings and Seminars Conducted in 2012 .......... 85
Annex 5. Centre Publications in 2012 .......... 88
Annex 6. Financial Report for 2012 / Auditor’s Report 2012 .......... 89



# აღმასრულებელი დირექტორისაგან

# STATEMENT FROM THE DIRECTOR

სიამოვნებით წარმოგიდგენთ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის 2012 წლის საქმიანობის ანგარიშს.

2012 წელი ორგანიზაციის სამწლიანი (2011-2013 წ.წ.) პროგრამის განხორციელების მეორე წელია, რომლის ფარგლებშიც დასახული მიზნის მისაღწევად ორგანიზაცია აქტიურ საქმიანობას ეწეოდა სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებებით.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სწავლების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით 2012 წელს ,,ცენტრის" მიერ განხორციელდა რამდენიმე წარმატებული ინიციატივა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში: საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოიცა პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე. პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებთან ერთად წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ასევე ქართულ ბიზნესკომპანიებს საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში, ასევე სხვადასხვა სამოქალაქო თუ საექსპერტო ორგანიზაციებს, რომლებიც საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობას ისახავენ მიზნად. ამასთან ერთად კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე ,,ცენტრის" ექსპერტის მიერ მომზადებული სალექციო კურსი გახდა სავალდებულო კავკასიის ბიზნესსკოლის სტუდენტებისათვის.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობისა და მისი განხორციელების მნიშვნელობის დემონსტრირება გახლდათ დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი -,,კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და საჯარო სექტორის როლი". ფორუმის ფარგლებში აღნიშნულ საკითხზე დაიწყო ფართო დიალოგი სხვადასხვა სექტორის – ბიზნესკომპანიების, საერთაშორისო და სამოქალაქო ორგანიზაციების, ხელისუფლების - წარმომადგენლებსა, და საერთაშორისო თუ ადგილობრივ ექსპერტებს შორის.

2012 წელს ცენტრი კვლავაც აქტიურად აგრძელებდა საქმიანობას მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით. პროგრამის ექსპერტები აქტიურად მუშაობდნენ საქართველოს კანონმდებლობაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ადეკვატურად ასახვის ხელშეწყობის მიმართულებით, ამასთან ერთად კვლავ მიმდინარეობდა მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათზე რეაგირება. „ცენტრის" ექსპერტების ძალისხმევით, გარკვეული ცვლილებები შევიდა სურსათის კონტროლთან დაკავშირებით მიღებულ სამთავრობო დადგენილებაში და „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში".

მომხმარებელთა შორის კვლავ დიდი ინტერესითა და პოპულარობით სარგებლობდა საგანმანათლებლო-ინფორმაციული დატვირთვის მქონე ვებპორტალი www.momxmarebeli.ge . 2012 წელს დაინერგა სურსათის უვნებლობის საკითხების ირგვლივ მომხარებელთა ინფორმირების კიდევ ერთი საინტერესო ინსტრუმენტი, - ე.წ ,,ქუჩის პრეზენ-

I am pleased to present you the 2012 annual activity report of the Center for Strategic Research and Development of Georgia.

2012 was the second implementation year within the three-year (2011 – 2013) program, during which our organization was actively working in various priority directions, all of them contributing to the achievement of the final program goals and objectives.

In order to promote the teaching of the Corporate Social Responsibility (CSR), in 2012, the Center implemented several successful initiatives targeting universities of Georgia; among them was the publication of the first Georgian-language handbook on the CSR. The handbook is helpful not only for the university teachers and students, but also for Georgian business companies willing to develop their own social responsibility as well as for various civil society and/or expert organizations aiming to promote the culture of CSR in Georgia. In addition, CSR curriculum developed by one of the Center experts has been included into the compulsory educational program of the Caucasus School of Business (CSB).

The need for the development and implementation of the CSR supporting public policy and strategy was demonstrated by the stakeholders' Forum on "Corporate Social Responsibility and the Public Sector Role". The Forum has initiated the broad dialogue on the CSR topic among the representatives of various business companies, state institutions, international and civil society organizations, as well as individual local and international experts.

In 2012, the Center continued to actively work on the Customers' Rights Protection issues. Program experts continued their efforts towards adequate representation of the customers' rights protection in Georgian law. At the same time, the measures on identifying and responding to facts of customers' rights violations were going on. By efforts of Center experts, certain changes were introduced to the Governmental regulation on Food Control and to the Code on Food/Animal Food Safety, Veterinary Medicine and Crop Protection.

The educational and informational web portal www.momxmarebeli.ge remained as popular and requested by the customers, as before. In 2012, the Center introduced one more food safety awareness instrument – the so-called "Street Presentations", which were met with approval and aroused a rather large interest in the society.

Special efforts in 2012 were undertaken regarding the promotion of the Social Entrepreneurship idea among the younger generation

ტაციები", რომელთაც დიდი მოწონება დაიმსახურეს დაინტერესებულ საზოგადოებას შორის.

2012 წელს პროგრამამ განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართა ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის იდეის პოპულარიზაციისა და მათ მიერ სოციალური საწარმოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ამ მიმართულებით რამოდენიმე საინტერესო პროექტი განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც ოთხი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა დაამყარეს თანამშრომლობითი კავშირები სხვადასხვა აქტიურ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, დაგეგმეს სამომავლო ერთობლივი საქმიანობები სოციალური მეწარმეობის საკითხებზე, შეიძინეს თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა და საინტერესო გამოცდილება.

2012 წელს ცენტრის პროგრამის ექსპერტების მიერ სოციალური მეწარმეობით დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციულ გაძლიერებასა და მათი ფინანსური მდგრადობისა და მართვის პროცესების გაუმჯობესებისაკენ მიმართული არაერთი ღონისძიება, ტრენინგი თუ კონკრეტულ საჭიროებაზე მორგებული კონსულტაცია ჩატარდა, სოციალურ საწარმოთა მხარდასაჭერად გაიცა მიკროგრანტები. 2012 წელს პროგრამის საქმიანობის შედეგად სოციალურ საწარმოებში 16 ადამიანი სტაბილურად დასაქმდა, მათგან უმრავლესობა ხელმოკლე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალი, დევნილი და ქუჩის ბავშვია.

,,ცენტრის" ორგანიზებით 2012 წელს გაიმართა ქართული სოციალური საწარმოების პირველი ერთობლივი შეხვედრა. შეხვედრის მონაწილე 50-მდე სოციალური საწარმოს ლიდერსა და სოციალური მეწარმეობის განვითარების სფეროში მოქმედი ორგანიზაციის წარმომადგენელს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ ერთმანეთის საქმიანობას და ფართო დისკუსია წარემართათ სოციალური მეწარმეობის პრობლემებსა და გამოწვევებზე საქართველოში.

2012 წელსაც "ცენტრი" აქტიურად განაგრძობდა კოალიციურ-ქსელურ საქმიანობას და წარმატებით თანამშრომლობდა სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ასევე მეზობელი ქვეყნების ფინანსურ ინსტიტუტებთან.

,,ცენტრმა" აღმოსავლეთ პარტნიორობის

and furtherance of youth social enterprises. Several interesting projects have been implemented, in frames of which students from four leading universities of Georgia cooperated with various civil society organizations (CSOs), planned their future joint activities on the social entrepreneurship, acquired new knowledge and skills and gained valuable experience.

In 2012, for CSOs interested in social entrepreneurship, Center experts delivered numerous events, training sessions and custom-tailored consultations in institutional strengthening, financial sustainability and effective management topics; also, several micro-grants supporting social enterprises were awarded. As a result of the 2012 program activities, 16 individuals were stably employed in social enterprises; a majority of them were low-income group representatives, individuals with special needs, victims of domestic violence, IDPs and street children.

In 2012, the Center organized the first joint meeting of the Georgian social enterprises. Up to 50 social enterprise leaders and representatives of the organizations working on the social entrepreneurship development got the opportunity to learn about one another's activities and discuss the problems and challenges of the social entrepreneurship in Georgia.

In 2012, the Center continued its coalition / networking activities and successfully cooperated with various international and / or local CSOs as well as with neighboring countries' financial institutions.

In cooperation with CSOs from 6 countries – East Partnership Forum (EAP) members - and with the financial support of the Czech Republic Ministry of Foreign Affairs, the Center implemented one more interesting research on EAP countries' challenges and needs, with regard to the local governance and citizens' participation.



ფორუმის (EaP) წევრი 6 ქვეყნის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა და ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა კიდევ ერთი საინტერესო კვლევა, რომელიც ეხება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს ადგილობრივი მმართველობის პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის მიმართულებით.

საქართველოში თემის განვითარებაზე მომუშავე 8 პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად მომზადდა და გამოიცა საინტერესო გამოცემა თემთან მუშაობის გამოცდილებაზე, რაც პარტნიორული ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების კარგ სტიმულად იქცა, დაიგეგმა არაერთი საინტერესო ერთობლივი ინიციატივა.

კახეთისა და გურიის რეგიონში მიმდინარე თემისა და თვითმმართველობის განვითარების ქსელური პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა სამიზნე მუნიციპალიტეტების საქმიანობა: მნიშვნელოვნად დაიხვეწა სოციალური პროგრამების განხორციელება; ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების შედეგად გაიზარდა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება; ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო თანხები და სამიზნე მუნიციპალიტეტში შეიქმნა ახალგაზრდების პრობლემების მოგვარებისკენ მიმართული სპეციალური პროგრამა; ცენტრის პროგრამის ფარგლებში ინიცირებული და მხარდაჭერილი საინიციატივო ჯგუფების, სათემო ცენტრების აქტიური მონაწილებით თვითმმართველობებთან წარმატებული თანამშრომლობის არაერთი პრეცენდენტი შეიქმნა, მათი ძალისხმევით მოგვარდა ადგილობრივი თემის მწვავე პრობლემები.

და ბოლოს, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ყველა პირსა და ორგანიზაციას, ვინც 2012 წელს თანამშრომლობდა სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან; ორგანიზაციის ყველა თანამშრომელს, ვინც თავისი შრომით წვლილი შეიტანა ორგანიზაციის პროგრამების წარმატებით განხორციელებაში.

Together with 8 partner organizations working on community development in Georgia, the Center prepared the publication on community work experience. This activity has served as a good incentive for a more profound future partnership; several very interesting joint initiatives were planned.

s a result of activities implemented in frames of Networking Program for Community and Self-Governance Development, operations of target municipalities have improved significantly, in particular, social programs are implemented more effectively; funding of the infrastructure projects has been increased at the expense of administrative costs downsizing; target municipalities have allocated local budget costs for development of special programs dealing with youth problems; with active involvement of community centers and initiative groups, established and supported by the Center program, case-studies of successful cooperation with local self-government, which resulted in solving many urgent community problems, were created.

In the end, I would like to express my appreciation to all individuals and organizations that cooperated with the Center of Strategic Research and Development of Georgia in 2012; I would also like to thank all my colleagues who contributed to the successful implementation of the organizational programs.



# 1 ორგანიზაციის შესახებ

# ABOUT THE ORGANISATION

„საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი“ არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 1995 წელს და გააჩნია სამოქალაქო სექტორში წარმატებული მუშაობის 17 წლიანი გამოცდილება. ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი არის - ფონდი.

ჩვენი საქმიანობა საქართველოს ფარგლებს ფარავს. ორგანიზაციის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, ხოლო წარმომადგენლობითი ოფისი - თელავში.

ჩვენი დაფინანსების ძირითადი წყაროებია საერთაშორისო ფონდებიდან გრანტების სახით მოძიებული თანხები. ჩვენი შემოსავლების მცირე ნაწილს შეადგენს აგრეთვე ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურებიდან (ტრენინგები და კონსულტაციები) შემოსული თანხები (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ფინანსური ანგარიში, დანართი 6).

## მისია, ხედვა და ფასეულობები

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მისიაა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობის ხელშეწყობა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა აქტიური ჩართვითა და მათი ინტერესების დაცვით, ასევე სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერისა და პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევების ჩატარების გზით.

ამრიგად, ცენტრის მისია არის საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობა მთავრობასა და საზოგადოებას შორის ორმხრივი დიალოგის ხელშეწყობის გზით.

Founded in 1995, the Centre for Strategic Research and Development of Georgia is a civil society organization with 17 years of successful work experience in the civil sector. The organization's legal status is Foundation.

Our activity area is the country of Georgia. Centre's head office is in Tbilisi and a branch office in Telavi.

Our main financing sources are grants received from international foundations and development agencies, while a small share of our budget comes from services (such as training and consultations) provided by our organization. (More details are presented in Financial Report, see Annex 6).

## OUR MISSION

The Centre for Strategic Research and Development of Georgia seeks to promote the development of civil society in Georgia by raising the awareness of the population, stimulating the active involvement of citizens in decision making processes, advocating the interests of various civic groups, supporting civic initiatives, and conducting applicable practical research. The Centre endeavours to support groups and individuals that promote social, political and economic reforms, and contribute to the development of efficient institutions for the protection of human rights.

In short: the mission of the organization is to build up civil society in Georgia by promoting



## საქმიანობის სფერო

მისიის შესასრულებლად „ცენტრს“ დასახული აქვს სამი გრძელვადიანი სტრატეგიული მიზანი ქვეყნის მოსახლეობასთან, მთავრობასა და კერძო სექტორთან მიმართებით:

- მოსახლეობასთან ცენტრი აქტიურად მუშაობს ცნობიერების ამაღლების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვის, მოსახლეობის მიერ საკუთარი ინტერესების დაცვის ხელშეწყობის მიზნით;

- მთავრობასთან მიმართებით ცენტრის მიზანია კონსტრუქციული კრიტიკისა და საექსპერტო დახმარების გზით, ხელი შეუწყოს მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით მთავრობის მიერ სტრუქტურული რეფორმების ეფექტურ ფორმულირებას და განხორციელებას;

- კერძო სექტორთან მიმართებით ცენტრი ხელს უწყობს ბიზნესის აქტიურ ჩართვას მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში პასუხისმგებელი ბიზნესის კონცეფციისა და პრაქტიკის დამკვიდრებისა და მულტისექტორული პარტნიორობის განვითარების გზით.

ჩვენი აზრით, სამივე მიზანი მჭიდროდ არის გადაჯაჭვული და მათ ერთობლიობას წვლილი შეაქვს ქვეყნის მდგრად განვითარებაში, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებასა და დემოკრატიის მშენებლობაში.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნების ფარგლებში ცენტრის საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

- სამოქალაქო განვითარება;
- თემის/სოფლის განვითარება;
- ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა;
- გარემოს დაცვა;
- ხელისუფლების დეცენტრალიზაცია;
- მუნიციპალიტეტების ანგარიშვალდებულებისა და საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა;

mutual dialogue between the Government and citizens.

## THE MAIN SPHERES OF OUR ACTIVITIES

To fulfil its mission, the Centre has three long-term strategic objectives in relation to the country's population, Government and private sector:

- CSRDG actively works with the public for awareness raising, promoting the involvement of stakeholders in decision-making processes, and helping the public to protect their interests.
- In relation to the Government, CSRDG's objective is to promote effective designing and implementation of structural reforms by the Government, with the active participation of the population.
- In relation to the private sector, CSRDG promotes the active involvement of the business in achieving sustainable development objectives by introducing the concept and practice of responsible business and developing multi-sector partnerships.

In our opinion, all three objectives are strongly interrelated and their conglomeration makes a serious contribution to the country's sustainable development, raising the quality of life and building democracy.

The main spheres of the Centre's activities under the strategic objectives are:

- Civic development;
- Community / rural development;
- Economy and social policy;
- Environment protection;
- Government decentralization;
- Increasing the municipalities' accountability and effectiveness;
- Budgetary processes;
- Consumer rights;

- საბიუჯეტო პროცესები;
- მომხმარებელთა უფლებები;
- სოციალური მეწარმეობა;
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.

ცენტრის საქმიანობისას გამოყენებული ძირითადი მიდგომები და სტრატეგიებია:

- კვლევითი საქმიანობა „ცენტრის“ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროში (როგორც ცენტრის ექსპერტების მიერ, ასევე „ცენტრთან“ არსებული ექსპერტთა ქსელის დახმარებით)
- ცნობიერების ამაღლება და ინტერესთა დაცვის კამპანიები
- ცენტრალური და ადგილობრივი დონის სახელისუფლებო უწყებების საქმიანობის მონიტორინგი
- საკანონმდებლო ხარვეზების გამოვლენა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება
- საექსპერტო მხარდაჭერა (ტრენინგები, კონსულტაციები საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამოქალაქო ჯგუფების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის, სკოლების, ბიზნეს კომპანიებისათვის);
- სამოქალაქო ორგანიზაციების გაძლიერება (თბილისისა და საქართველოს რეგიონების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სოფლის ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფებისა)
- მიკროგრანტების გაცემა სოფლის საინიციატივო ჯგუფებისათვის ადგილობრივი პრობლემების მოგვარების მიზნით და სოციალური მეწარმეობით დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის მათი მდგრადობის განვითარების მიზნით
- პარტნიორული და კოალიციური მუშაობის ხელშეწყობა როგორც სამოქალაქო სექტორის შიგნით, ასევე სხვადასხვა სექტორს შორის.

- Social enterprise;
- Corporate Social Responsibility.

For working in the above listed areas we apply various approaches and strategies, such as:

- Research in various areas related to CSRDG's activities (carried out by CSRDG's experts, as well as with the assistance of the experts' network formed at the Centre)
- Campaigns for awareness raising and advocacy
- Monitoring of Government activities on both the national and local levels
- Revealing legislative shortcomings and development of respective legislative amendments
- Expert assistance (training and consultations for civil organizations, civic groups, local governments and self-governments, public schools, and business companies)
- Strengthening of civil organizations (for civil organizations in Tbilisi and other regions of Georgia, and rural youth initiative groups)
- Provision of micro-grants for village initiative groups in order to solve local problems and to ensure sustainable development of civic organizations interested in social entrepreneurship;
- Promotion of partner and coalition work within the civil sector, as well as on the inter-sector level.

## GEOGRAPHIC COVERAGE OF OUR ACTIVITIES

CSRDG has a complex approach to solving problems facing the country, and carries out its activities on the local (village, district) as well as the national level. In particular, our activity



## საქმიანობის გეოგრაფიული არეალი

ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაჭრას „ცენტრი“ კომპლექსურად უდგება და საქმიანობს როგორც ადგილობრივ (სოფელი, რაიონი), ასევე ეროვნულ დონეზე. კერძოდ, ცენტრის საქმიანობის არეალი მოიცავს საქართველოს დედაქალაქს - თბილისს, ასევე ლაგოდეხის, სიღნაღის, ყვარლისა და თელავის მუნიციპალიტეტებს აღმოსავლეთ საქართველოში, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს დასავლეთ საქართველოში. ჩამოთვლილ მუნიციპალიტეტებში ორგანიზაცია უკვე მრავალი წელია ინტენსიურად მუშაობს, ხოლო ცალკეული პროგრამების ფარგლებში ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობა მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება.

### *სამიზნე ჯგუფები:*

***ადგილობრივ დონეზე:***
- სოფლის სათემო ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფები;
- რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
- საჯარო სკოლები;
- ადგილობრივი თვითმმართველობები (მუნიციპალიტეტები).

***ეროვნულ დონეზე:***
- სახელისუფლებო სტრუქტურები და სახელმწიფო უწყებები;
- კვლევითი და უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტები;
- საჯარო სკოლები;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
- მსხვილი და საშუალო ბიზნეს კომპანიები;
- სხვადასხვა სფეროს ექსპერტები;
- მას-მედიის საშუალებები.

## 2012 წელი - ფაქტები და ციფრები

თანამშრომლები: 2012 წლის დასასრულს ორგანიზაციის თანამშრომელთა საერთო რაოდენობა იყო 28 (აქედან 26 თბილისის ოფისის თანამშრომელია და 2 - თელავის ოფისის).

area covers Tbilisi - the capital of Georgia; Lagodekhi, Sighnaghi and Telavi municipalities in Eastern Georgia; and Ozurgeti and Chokhatauri municipalities in Western Georgia. The Centre has been intensively working in these municipalities for many years, while some of these programs are implemented by it on the whole territory of the country.

### *Our target groups:*

***On the local level:***

- Grassroots organizations (CBO and village initiative groups)
- Non-governmental organizations
- Public Schools
- Local governments (Municipalities).

***On the national level:***

- Government and State agencies
- Research institutions and collages/universities
- Public schools
- Non-governmental organizations
- Large and medium business companies
- Experts in various spheres
- The Media.

## 2012 - FACTS AND FIGURES

Employees: At the end of 2012, the total number of the organization's employees was 28 (of these, 26 were employees of the Tbilisi office and 2 of the Telavi office).

## ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ლარებში
## Core financial indicators in CEL

| | |
|---|---|
| ორგანიზაციის მთლიანი კაპიტალი და რეზერვი 2012 წლის ბოლოსათვის (31.12.2012) არსებული მონაცემების მიხედვით) შეადგენდა: The organisations total capital (according to the available data at the end of 2012 (31.12. 2012) was | 418 834 |
| **მთლიანი შემოსავლები (წლების მიხედვით) ლარებში Total income (by years) in GEL** | |
| 2008 | 750353.1 |
| 2009 | 1185659 |
| 2010 | 1 386 585 |
| 2011 | 812 557 |
| 2012 | 1 031 187.2 |

**მთლიანი შემოსავლები ძირითადი კატეგორიების მიხედვით**
**Breakdown of the sources of incom by major categories**

| | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 |
|---|---|---|---|---|---|
| ინდივიდუალური, შემომწირველებისგან მიღებული თანხები From individual contributions | 3153 | 3000 | 13 316 | 15304 | 1500 |
| გაწეული სერვისებისგან მიღებული შემოსავალი Income from services provided | 127092.4 | 88034 | 128 864 | 128706 | 62 807,58 |
| დონორებისგან მიღებული თანხები Funding from donnors | 611360.8 | 1088742 | 1244405 | 668 550 | 965 556,14 |
| სხვა შემოსავლები Other income | 8746.928 | 5883 | - | - | 1 323,5 |
| სულ შემოსავლები TOTAL INCOME | 750353.1 | 1185659 | 1386585 | 812557 | 1 031 187,22 |

**ჩვენი დონორები:** 2012 წელს ჩვენი დონორები იყვნენ:

- ეკლესიის განვითარების სააგენტო;
- ფრიდრიხ ებერტის ფონდი;
- ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“;

Our donors: In 2012 our donors were:

- Church Development Service (EED);
- Friedrich Ebert foundation;
- Open Society – Georgia Foundation;
- Eurasia Partnership Foundation;
- British Council;



- ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი;
- ბრიტანეთის საბჭო;
- ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს პროგრამა „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“;
- თემის განვითარების ჟურნალის ფონდი;
- ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

### *ჩვენი საქმიანობა (ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებლები):*

- 2012 წელს ვმუშაობდით თბილისსა და 6 მუნიციპალიტეტში (თელავის, სიღნაღის, ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში - აღმოსავლეთ საქართველოში, ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში - დასავლეთ საქართველოში), ხოლო ზოგიერთი პროგრამის ფარგლებში - საქართველოს ყველა რეგიონში;

- ვახორციელებდით 13 საგრანტო პროექტს და 8 სერვის-კონტრაქტს;
- გამოვეცით 7 პუბლიკაცია (1 ბიულეტენი, 2 ბროშურა, 2 სახელმძღვანელო, 1 წიგნი, 2011 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში);
- დამოუკიდებლად ან სხვა ორგანიზაციებთან და მოწვეულ ექსპერტებთან თანამშრომლობით ჩავატარეთ 50 ტრენინგი.

*კერძოდ, ტრენინგები ჩაუტარდა:*

– 5 თვითმმართველობას საქართველოს 5 რეგიონიდან;
– 110 საზოგადოებრივ ორგანიზაციას (თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან)
– 32 სოფლის სათემო ჯგუფების/ორგანიზაციის წევრებს საქართველოს 20 მუნიციპალიტეტიდან

- კონსულტაცია გავუწიეთ 31 ორგანიზაციას (5 მუნიციპალიტეტსა და 26 საზოგადოებრივ ორგანიზაციას)
- სამოქალაქო მონიტორინგის ქსელმა, რომელსაც წარმართავს ჩვენი ორგანიზაცია, საქართველოს 5 მუნიციპალიტეტს

- USAID program “Democratic Governance in Georgia”;
- Delegation of the European Union to Georgia;
- Community Development Journal (CDJ);
- Ministry of Foreign Affairs of the Czech Republic.

### *Our activities in 2012 (core quantitative indicators):*

- In 2012 we were working in Tbilisi and six municipalities (Telavi, Sighnaghi, Karelia and Lagodekhi in the Eastern Georgia, Chokhatauri and Ozurgeti in the Western Georgia). At the same time, we also had some nationwide programs;

- We were implementing 13 grant programs and 8 service contracts;
- 7 publications (1 bulletins, 2 brochures, 2 Manuals, 1 Book and a 2011 sustainability report) were published by us.
- Conducted 50 trainings independently or in cooperation with other invited experts.

*In particular, trainings were conducted for:*

– 5 local governments from 5 regions of Georgia;
– 110 civil society organizations (from Tbilisi and various regions of Georgia)
– Members of 32 village initiative groups/organizations in 20 Georgian municipalities

- Provided consultations for 31 organizations (five municipalities and 26 non-governmental organizations)

- The Civil Monitoring Network, which is led by our organization, provided numerous recommendations to five Georgian municipalities regarding budgetary processes and transparency issues. 29 of the recommendations were taken into account.

მიაწოდა მრავალრიცხოვანი რეკომენდაციები საბიუჯეტო პროცესებისა და გამჭვირვალობის საკითხებზე, რომელთაგან 29 გათვალისწინებულია.

- 93,813 ლარის ოდენობის მიკროგრანტი გავეცით 12 სათემო ჯგუფზე და ორგანიზაციაზე
- ჩავატარეთ სხვადასხვა აქტუალური საკითხის 15 საჯარო განხილვა
- საქართველოს რეგიონული ქსელის პარტნიორებთან ერთად მონიტორინგს ვუტარებდით 6 მუნიციპალურ ბიუჯეტს.

### *ძირითადი მიღწევები 2012 წელს*

- 2012 წელს ,,ცენტრმა" აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორუმის (EaP) წევრი 6 ქვეყნის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განახორციელა კვლევა, რომელიც ეხება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს ადგილობრივი მმართველობის პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის მიმართულებით. აღნიშნული კვლევა ჩატარდა პროექტის - ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა" – ფარგლებში და 2012 წლის ნოემბერში წარდგენილი იქნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფორუმის შეხვედრაზე;

- 2012 წელს ცალკე წიგნად გამოიცა ,,ცენტრისა" და მოწვეულ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული ანალიტიკური კვლევა ,,კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და საჯარო სექტორის როლი (ანალიტიკური მიმოხილვა და რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას)".

- 2012 წელს ,,ცენტრის" მიერ განხორციელდა რამდენიმე წარმატებული ინიციატივა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სწავლების დან-

- 93,813 GEL worth micro-grants were awarded to 12 initiative groups and non-governmental organizations
- Organized 15 public hearing sessions on various important issues
- Together with partners from the Georgian regional network, monitored six municipal budgets.

### *Our main accomplishments in 2012:*

- In 2012, CSRDG, together with civil society organisations from the Eastern Partnership (EaP) 6 member States, conducted a research concerning challenges and needs existing in the Eastern Partnership Countries in the area of civil engagement in the local governance processes. The research was conducted within the framework of the project "Promotion of Citizens Participation in the Local Self-Governments of the Eastern Partnership Countries", and, in November 2012, was presented at the Civil Society Organisations Forum of the Eastern Partnership Countries;

- In 2012, an analytical study prepared by a group of CSRDG and invited experts - "The Role of Government and public policies in promoting Corporate Social Responsibility - An analytical overview and recommendations to the Georgian government" - was published as a book;

- In 2012, CSRDG implemented several successful initiatives towards teaching corporate social responsibility in Georgian universities. specifically:
  - *a lecture course on corporate social responsibility, prepared by CSRDG expert, became mandatory for the Caucasus Business School students;*
  - *besides, the first Georgian language handbook concerning corporate social responsibility was prepared and published for Georgian universities.*

ერგვის ხელშეწყობის მიზნით. კერძოდ:

- *,,ცენტრის" ექსპერტის მიერ მოამზადებული სალექციო კურსი კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე გახდა სავალდებულო კავკასიის ბიზნესსკოლის სტუდენტებისათვის;*
- *ასევე, მომზადდა და გამოიცა პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის.*

- 2012 წელს სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით „ცენტრის" საქმიანობის შედეგად საფუძველი ჩაეყარა 1 სოციალური საწარმოს საქმიანობას, ხოლო 5-მა საწარმომ გააუმჯობესა საკუთარი მომსახურება.

- 2012 წელს „ცენტრის" ტრენერ-კონსულტანტებმა წარმატებით ჩაატარეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერებისაკენ მიმართული ტრენინგ-კურსები. შეფასებამ აჩვენა, რომ მონაწილე საზოგადოებრივი ორგანიზაციების 87,5% პრაქტიკაში იყენებს ტრენინგებზე მიღებულ ცოდნასა და უნარებს.

- ორგანიზაციის ბაზაზე შექმნილმა თემის განვითარების რესურსცენტრმა 2012 წელს წარმატებით განახორციელა რამდენიმე საინტერესო ინტერნეტ-პროექტი, კერძოდ:
  - *2011 წელს თემის განვითარების რესურსცენტრის ბაზაზე შეიქმნა და 2012 წლიდან წარმატებით ამუშავდა საინფორმაციო ვებპორტალი თემის განვითარების საკითხზე – www.cdrc.ge*
  - *შეიქმნა საინფორმაციო-ელექტრონული ჟურნალი თემის განვითარებაზე, რომელიც რეგულარულად ეგზავნებათ საკითხით დაინტერესებულ ორგანიზაციებს. ამისთვის საგანგებოდ შედგენილია ელექტრონული, მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზა.*

- In 2012, as a result of CSRDG activities for the promotion of social entrepreneurship, one social enterprise was created, and five social enterprises improved their services;

- In 2012, CSRDG trainer-consultants successfully held training courses aimed at strengthening civil society organisations. The evaluation showed that 87.5% of the participant civil society organisations apply in practice the knowledge and skills received in the trainings;

- Community Development Resource Centre, created on the basis the organisation, successfully implemented several interesting internet projects in 2012. In particular:
  - *On the bases of the Community Development Resource Centre, an information web-portal on community development issues - www.cdrc.ge - was created in 2011, and started successfully operating in 2012;*
  - *An informational electronic journal on community development was created, and is regularly distributed among interested organisations. For this purpose, an electronic, regularly updated data base was created specifically;*
  - *An official Community Development Resource Centre Facebook page was created.*

- Evaluation of 12 CSRDG target community youth centres showed the high effectiveness of the community centres and a growing tendency of stable development. This is proven by the fact that the community centres implemented 45 initiatives independently, without any help from the program. This entails attracting finances from other funds and municipalities for solving existing problems, as well as the problems that were resolved by the self-governments based on the information from the community centres. Moreo-

- *ფეისბუკზე შეიქმნა თემის განვითარების რესურსცენტრის სპეციალიზებული გვერდი.*

- ,,ცენტრის” 12 სამიზნე სათემო ახალგაზრდული ცენტრის შეფასებამ აჩვენა სათემო ცენტრების საქმიანობის მაღალი ეფექტურობა და სტაბილური განვითარების მზარდი ტენდენცია. ამაზე მეტყველებს ის ფაქტები, რომ სათემო ცენტრებმა დამოუკიდებლად, პროგრამის დახმარების გარეშე, განახორციელეს 45 ინიციატივა. აქ იგულისხმება პრობლემების გადასაჭრელად სხვა ფონდებიდან და მუნიციპალიტეტებიდან მოპოვებული დაფინანსება და ასევე პრობლემები, რომლებიც სათემო ცენტრების ინფორმაციაზე დაყრდნობით თვითმმართველობებმა მოაგვარეს. გარდა ამისა, ადგილობრივი მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვამ აჩვენა სათემო ცენტრების ცნობადობის (85%) და მათი საქმიანობით კმაყოფილების (99%) მაღალი დონე.

- თვითმმართველობის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა სამიზნე მუნიციპალიტეტების საქმიანობა, კერძოდ:

- სამიზნე მუნიციპალიტეტების საქმიანობის სტანდარტები მიუახლოვდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ;
- სამიზნე მუნიციპალიტეტებში მნიშვნელოვნად დაიხვეწა სოციალური პროგრამების განხორციელება;
- სამიზნე მუნიციპალიტეტებში ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების შედეგად გაიზარდა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება.

- 2012 წელს „ცენტრი“ იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო ფორუმის ეროვნული პლატფორმის მე-3 სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი თანაკოორდინატორი. ჯგუფმა განახორციელა წარმატებული ადვოკატირების კამპანია გარემოს-

ver, the sociological poll of local population showed high levels for the community centres awareness (85%) and satisfaction with their performance (99%);

- As a result of the activities implemented under the Local Government Development Program, activities of the target municipalities have improved considerably. In particular:

- *Activity standards of the target municipalities came closer to transparency and accountability requirements stipulated in the Georgian legislation;*
- *Implementation of social programs has considerably improved in the target municipalities;*
- *In the target municipalities, the funding of the infrastructural projects increased as a result of cutbacks on administrative expenses.*

- In 2012, CSRDG was one of the coordinators of the 3rd Work Group of the Eastern Partnership Civil Society Forum National Platform. The group implemented a successful advocating campaign against amendments that were to be made to the environment protection legislation. The Government complied with the protest expressed by non-governmental organizations, and respective amendments in the law were annulled;

- In 2012, with the efforts from CSRDG experts, amendments were made to the passed Government decree on food safety control and “The Code on Food / Animal Food Safety, Veterinary and Protection of Plants”. Besides, based on CSRDG initiative, the committee on Euro-Integration of the Parliament of Georgia took a lead in drafting a new law on customers rights protection;



დაცვით კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების წინააღმდეგ, არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტი მთავრობამ დააკმაყოფილა და კანონის შესაბამისი ცვლილებები გაუქმდა.

- 2012 წელს ,,ცენტრის” ექსპერტების ძალისხმევით ცვლილებები შევიდა სურსათის კონტროლთან დაკავშირებით მიღებულ სამთავრობო დადგენილებაში და ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში’’. გარდა ამისა, ,,ცენტრის’’ ინიციატივით პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის ხელმძღვანელობით დაიწყო მომხმარებელთა უფლებების დაცვის ახალი კანონის შემუშავება.
- 2012 წელს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით განხორციელებული პროექტის ფარგლებში გამოვლინდა მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტები. ,,ცენტრის” ექსპერტების ძალისხმევის შედეგად გამოვლენილი დარღვევების 1/3-ზე მეტი გამოსწორდა.

- In 2012, cases of customer rights violations were being revealed under the frameworks of customers rights protection program. More than 1/3 of the violations revealed by

2

# ორგანიზაციის მმართველობის სტრუქტურა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

# GOVERNANCE STRUCTURE AND STAKEHOLDER ENGAGEMENT

„ცენტრის“ ორგანიზაციული სტრუქტურა და მენეჯმენტი იმგვარად არის აწყობილი, რომ უზრუნველყოს ფუნქციათა და პასუხისმგებლობათა ცალსახა გადანაწილება და ყველა თანამშრომლის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

The organizational and management structure of CSRDG is designed to ensure a clear assignment of functions and responsibilities, and the inclusion of all employees in decision making processes.

## ორგანიზაციის მმართველობის სტრუქტურა

ორგანიზაციის უმაღლეს მმართველ ორგანოს წარმოადგენს გამგეობა, რომელიც უზრუნველყოფს საწესდებო მიზნების განხორციელებას; ამტკიცებს ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, პროგრამებს, მათი განხორციელების ვადებსა და ხარჯთაღრიცხვას; ისმენს გამგეობის თავმჯდომარისა და აღმასრულებელი დირექტორის წლიურ პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშებს გაწეული საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ; ამტკიცებს წლიურ ბიუჯეტს; ზედამხედველობს ორგანიზაციის ფინანსების განკარგვას; აკონტროლებს იურიდიული და საბუღალტრო მოთხოვნების დაცვას.

გამგეობა შედგება 5 წევრისაგან. მათგან 3 წევრი არის ორგანიზაციისაგან დამოუკიდებელი წევრი, ხოლო ორი — ორგანიზაციის თანამშრომელი (კერძოდ, გამგეობის წევრები არიან ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების პროგრამის კოორდინატორი).

გამგეობის თავმჯდომარე იმავდროულად არის ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორიც.

## GOVERNANCE STRUCTURE

The Board is the highest governing body that ensures the fulfillment of the statutory objectives of the organization; approves strategic development plans, programs, and terms of their implementation; hears the annual program and financial reports of the Chairman of the Board and Executive Director concerning the conducted activities and future plans; approves the annual budget of the programs; oversees the expenditure of the organization's funds; controls the observance of legal and accounting requirements.

The Board consists of five members, three of whom are independent and non-executive. The other two members serve CSRDG in an executive capacity, namely: executive director and program coordinator. The former is also the chairperson of the Board. Board members are volunteers and are not remunerated.



გამგეობის წევრები არ იღებენ დამატებით ანაზრაურებას და მოხალისეობრივ საწყისებზე ასრულებენ მმართველობითი ორგანოს წევრის ფუნქციებს.

ორგანიზაციის გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს სამომავლოდ ეტაპობრივად გაზარდოს გამგეობის დამოუკიდებელ წევრთა რაოდენობა არსებული აღმასრულებელი წევრების ჩანაცვლების ან 1-2 ახალი წევრის დამატების გზით, რომელთაც ექნებათ გამოცდილება ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად სფეროებში და რომლებიც ახალ მოდგომებსა და ხედვას შეჰმატებენ გამგეობის საქმიანობას.

გამგეობა არჩევით ორგანოს წარმოადგენს. გამგეობის პირველ შემადგენლობას ირჩევენ ორგანიზაციის დამფუძნებლები, ხოლო შემდგომში — კურატორიუმის წევრები (იხ. ქვემოთ), ოთხი წლის ვადით. გამგეობის თავმჯდომარეს ირჩეევენ გამგეობის წევრები საკუთარი შემადგენლობიდან, თავიანთი უფლებამოსილების ვადით (ანუ აგრეთვე 4 წლით).

„ცენტრის“ ამჟამიდნელი გამგეობა არჩეული იყო 2010 წელს, 4 წლის ვადით.

### *ჩვენი გამგეობის წევრები არიან:*

- ეკა ურუშაძე (გამგეობის თავმჯდომარე)
- ეკა დათუაშვილი
- ლევან ავალიშვილი
- დათო გზირიშვილი
- ოთარ ბაბუნაშვილი

გამგეობა, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ იკრიბება. საჭიროების შემთხვევაში ინიშნება აგრეთვე დამატებითი შეხვედრები, რისთვისაც საკმარისია გამგეობის წევრების სულ მცირე 1/3-ის მოთხოვნა.

აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც გამგეობა ნიშნავს, წარმართავს ორგანიზაციის საქმიანობას გამგეობის მიერ შემუშავებული მიზნების და ამოცანების შესაბამისად. იგი წარმოადგენს ორგანიზაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში; უზრუნველყოფს ფინანსებისა და ქონების განკარგვას დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში; ახორციელებს ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე.

CSRDG's long-term objective is to gradually increase the number of independent Board members by either replacing current executive members or adding one or two new members who will already have experience in the main areas of the organization's activities and will bring new vision and approach to the Board's activity.

The Board is an elective body. At first, Board members are elected by the organization's founders, and later, the Curatorium elects the Board which serves for a period of four years.

***Members of the present board (elected in 2010 for 4 years) are:***

- Eka Urushadze (Chairperson of the Board);
- Eka Datuashvili;
- Levan Avalishvili;
- David Gzirishvili;
- Otar Babunashvili;

The Board regularly meets twice a year. When necessary, additional board meeting can be convened if requested by 1/3 of the members of the Board.

The Executive Director, appointed by the Board, directs the organization's work in accordance with the objectives and plans elaborated by the Board. Responsibilities of the Executive Director include managing CSRDG's daily activities; presenting it at various levels; reporting on the Centre's current activity to the Board; controlling expenditure of the funds; day-today management of the finances and other tangible assets of the organization, as well as responsibility for their adequate utilization; ensuring unimpeded functioning of the organization and its sustainable development; staff recruitment and capacity building; implementation of other functions required for tactical



უზრუნველყოფს ორგანიზაციის მდგრად განვითარებას, წარუდგენს გამგეობას ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ანგარიშებს; იღებს სხვა გადაწყვეტილებებს ორგანიზაციის საწესდებო მიზნების მისაღწევად.

ორგანიზაციისათვის პრიორიტეტული მიმართულებებით საქმიანობის წარმართვის მიზნით შემუშავებულია და მოქმედებს პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებსაც ახორციელებენ შექმნილი სამუშაო ჯგუფები. მათ კოორდინირებას უწევენ პროგრამების კოორდინატორები (სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელები). პროგრამის კოორდინატორების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს პროგრამის საქმიანობის მართვა, მონიტორინგი და შეფასება, აგრეთვე პროგრამული ანგარიშების მომზადება. ისინი პასუხისმგებელინი არიან მათი უშუალო დაქვემდებარების ქვეშ მყოფი თანამშრომლების საქმიანობაზე.

პროგრამის კოორდინატორები, აღმასრულებელ დირექტორთან ერთად აგრეთვე შედიან სათათბირო ორგანოს — შუალედური მმართვის რგოლის (დირექტორატის), შემადგენლობაში. დირექტორატი წარმართავს ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობას, ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში „ცენტრის“ ყველა ქვეპროგრამის კოორდინირებულ და თანაბარ მონაწილეობას. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, დირექტორატი იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს, აგრეთვე ასრულებს კონსულტანტის ფუნქციას აღმასრულებელი დირექტორის მიერ სხვადასხვა საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას. დირექტორატი, სულ მცირე, თვეში ერთხელ იკრიბება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირად.

„ცენტრს“ აგრეთვე ჰყავს სამეთვალყურეო ორგანო — კურატორიუმი, რომელიც აკონტროლებს გამგეობის საქმიანობას და ორგანიზაციის მმართველობას კანონისა და წესდების საფუძველზე; აგრეთვე გამგეობის სხდომაზე წარადგენს საკონსულტაციო მოსაზრებებს ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი საქმიანობისა და სტრატეგიის შესახებ.

კურატორიუმი შედგება სამი წევრისაგან, რომელთაც ირჩევენ ფონდის დამფუძნებლები, განუსაზღვრელი ვადით. კურატორიუმის წევრები არ იღებენ დამატებით

management of CSRDG's activities.

In order to carry out activities in CSRDG's priority areas, programs and sub-programs have been developed which are implemented by work groups. The groups are coordinated by program coordinators (heads of the work groups). The main functions of the program coordinators are: management, monitoring and evaluation of the program activities, and preparation of program reports. They are also responsible for the activities of the personnel under their supervision.

Program coordinators and the executive director also form CSRDG's consultative body - the Intermediate Managerial Unit (IMU) or Directorate. The aim of the middle managerial unit is to direct the daily activities of the organization and ensure equal participation by middle-level managers in decision-making on issues of various importance. Within its competence, the IMU takes independent decisions. Also, the unit has a consultative function regarding final decisions made by the Executive Director. The intermediate managerial unit meets with the Executive Director at least once a month, or more often if necessary.

The Curatorium is CSRDG's supervisory body which controls the Board's activities and the performance of the administration on the basis of the Law and Charter; and presents advisory opinion at the Board meetings concerning the activities and strategies to be implemented by the organization. The Curatorium has three members elected by the Centre's founders for an indefinite period of time. The members of the Curatorium work in a voluntary capacity.

If necessary, upon the Board's decision, one or several Expert Councils are created for a fixed period of time and a special purpose. The

ანაზღაურებას და მოხალისეობრივ საწყისებზე მუშაობენ.

საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრული ვადით და კონკრეტული მიზნით გამგეობის გადაწყვეტილებით იქმნება ექსპერტთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს. ექსპერტთა საბჭოს ძირითადი ფუნქციაა „ცენტრის“ მიერ განსახორციელებელი პროგრამების ექსპერტიზა.

### *თანამშრომლეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პორცესში*

„ცენტრი“ ცდილობს ეფექტური კომუნიკაციისა და თანამონაწილეობითი მიდგომების მეშვეობით უზრუნველყოს, რომ ყველა თანამშრომლის აზრი მოსმენილი და შეძლებისდაგვარად გათვალიწინებული იყოს ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას.

ორგანიზაციაში შექმნილია და ფუნქციონირებს კომინუკაციისა და ინფორმაციის გაცვლის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მექანიზმები, კერძოდ:

- ყველა თანამშრომლის ყოველთვიური კრება, რომელზეც ნებსიმიერ თანამშრომელს შეუძლია თავისი მოსაზრების გამოთქმა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ორგანიზაციის მენეჯმენტთან.
- პროგრამების შიგნით რეგულარულად ტარდება პროგრამის მენეჯერისა და პროგარმის თანამშრომელთა შეხვედრები, რომელზეც თანამშრომლებს შეუძლიათ პროგრამის მენეჯერთან დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია და აზრი;
- შუალედური მენეჯერული რგოლის (რომელიც შედგება პორგრამათა და მიმართულებათა კოორდინატორებისაგან) შეხვედრები თვეში ერთხელ ტარდება. ამ შეხვედრებზე პროგრამის კოორდინატორს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია წარმოადგინოს მისი პროგრამის რიგითი წევრების მოსაზრებები ან შენიშვნები;
- 6 თვეში ერთხელ ტარდება გამგეობის გეგმიური შეხვედრები, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოწეყოს რიგგარეშე შეხვედრაც. ამ საბჭის შეხვედრებზე აღმასრულებელ დირექტორს შეუძლია წარმოადგინოს თანამშრომელთა მოსაზრებები და შენიშვნები, რომლებიც მანმადე მენეჯმენტის შუა რგოლის შეხვედრაზე დაფქისირდა; საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია აღმასრულებელმა დირექტორმა მოითხოვოს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორის დასწრება გამგეობის სხდომაზე, სადაც მას უშუალოდაც შეუძლია წარმოადგინოს თანამშრომელთა მოსაზრებები.

Expert Council represents CSRDG's advisory body. Its main function is the provision of expertise for program implementation.

### *Employee engagement and participation in decision making*

By effective communication and a participatory approach CSRDG tries to ensure that, when making important decisions for the organization, every employee's opinion is heard and taken into consideration as far as possible.

Horizontal and vertical mechanisms of communication and engagement are introduced and operate in the organization. In particular:

- General monthly meeting of all employees, where every employee can express his/her opinion and state his/her position to the organization's management.
- Within the programs, regular meetings are held between the program manager and program staff, where staff members can express their position and opinion.
- Meetings of the Intermediate Managerial Unit (comprised of program and direction coordinators) are held on a monthly basis, where, as needed, the program coordinator can present his/her staff members' opinions or comments.
- Regular Board meetings are held once half-yearly. If required, a special meeting can also be convened. The Executive Director can present to the Board employees' opinions and comments expressed at the IMU meetings. The Executive Director can also request the attendance of the respective program coordinator at the Board meeting, where the program coordinator is able to directly present the staff's opinions.
- The program Network's coordination meetings are also held once every six months, where members of our organization and our two partner organizations are able to raise issues and state their opinions. The issues are later discussed at IMU meetings and, if necessary, also at the Board meetings.



- 6 თვეში ერთხელ ტარდება აგრეთვე პროგრამის ქსელის (ანუ ჩვენი ორგანიზაციისა და 2 პარტნიორი ორგანიზაციის) საკოოორდინაციო შეხვედრები, რომელზეც ასევე ჩვენი ორგანიზაციისა და პარტნიორი ორგანიზაციის წევრებს შეუძლიათ საკითხების წამოწევა და აზრის დაფიქსირება. ეს საკითხები შემდეგ განიხილბეა შუა მენეჯერული რგოლის შეხვედრაზე და საჭიროების შემთხვევაში მას „ცენტრის“ გამგეობა სხდომაზე გაიხილავს.

## დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

“ცენტრისთვის”, როგორც სამოქალაქო ორგანიზაციისთვის, რომელსაც, ძირითადად, საზოგადოებრივი მიზნები ამოძრავებს, საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს სწორედ ჩვენს მრავალრიცხოვან დაინტერესებულ მხარესთან კომუნიკაცია წარმოადგენს. ყოველი ახალი პროგრამის ფარგლებში ან საქმიანობის ახალი ეტაპის დასაწყისში, როგორც წესი, ხდება სამიზნე ჯგუფებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია და იგეგმება მათთან კომუნიკაციისა და უკუკავშირის მიღების პროცესი.

### *ჩვენი ორგანიზაციის ძირითადი დაინტერესებული მხარეებია:*

- ორგანიზაციის თანამშრომლები
- დონორები
- სამოქალაქო ორგანიზაციები (თბილისისა და რეგიონების პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები, სოფლის საინიციატივო ჯგუფები)
- ჩვენი სამიზნე მუნიციპალიტეტები
- ცენტრალური მთავრობის ცალკეული

## STAKEHOLDER ENGAGEMENT

Being a civil organization and driven primarily by social goals, CSRDG considers communication with our numerous stakeholders to be one of the main components of our activities. As a rule, within every new program, or prior to starting a new stage in an existing one, our target groups and stakeholders are identified and the communication and feedback processes planned.

### *Our main stakeholders are:*

- Organization's employees
- Donors
- Civil organizations (partner non-governmental organizations from Tbilisi and other regions, village initiative groups)
- Our target municipalities
- Some of the ministries, with which the organization interacts during our activities
- Georgian private companies interested in the implementation of the corporate social responsibility;
- Georgian universities where the corporate social responsibility is included or is planned to be into the curriculum;
- Addressees of our publications - research institutes and colleges/universities, as well as experts from various spheres
- Members of the CSRDG's network of experts
- Beneficiary organizations of the trainings held by us
- Media sources







## თანამშრომლები

ეკა ურუშაძე, ეკა დათუაშვილი, ნინო ვასაძე, ნანა ქარსელაძე, ქეთი კაკაბაძე, ზვიად მოდებაძე, დათო ჩიკვაიძე, მაკა ასამბაძე, შოთა მურღულია, ელისო ღარიბაშვილი, ირინა ბრეგვაძე, ანა ნადირაშვილი, ლელა ხოფერია, გიგა გველესიანი, გია ტოკლიკიშვილი, ლიკა თოდუა, მიშა გოგიჩაიშვილი, თამარ გობეჯიშვილი, კახა ჯამბურია, ლევან როსტომაშვილი, ნონა ალადაშვილი, მანანა მჭედლიშვილი.



## PERSONNEL

Eka Urushadze, Eka Datuashvili, Nino Vasadze, Keti Kakabadze, Nana Karseladze, Zviad Modebadze, Dato Chikvaidze, Maka Asambadze, Shota Murghulia, Eliso Gharibashvili, Irina Bregvadze, Ana Nadirashvili, Lela Khoperia, Giga Gvelesiani, Gia Toklikishvili; Lia Todua; Manana Mchedlishvili; Misha Gogichaishvili; Tamar Gobejishvili, Kakha Jamburia, Levan Rostomashvili, Nona Aladashvili.





სამინისტროები, რომლებთანაც ორგანიზაციას აქვს ურთიერთობა საქმიანობის პროცესში

- ქართული ბიზნეს კომპანიები, რომლებიც დაინტერესებული არიან კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვით;
- ქართული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, სადაც ისწავლება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საგანი, ან იგეგმება ზემოაღნიშნულის დანერგვა;
- ჩვენი პუბლიკაციების ადრესატები - კვლევითი ინსტიტუტები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, აგრეთვე სხვადასხვა სფეროს ექსპერტები
- ორგანიზაციის ექსპერტთა ქსელის წევრები
- ჩვენს მიერ ჩატარებული ტრენინგების ბენეფიციარი ორგანიზაციები
- მას-მედიის საშუალებები

ჩვენს ორგანიზაციას მუდმივად აქვს კავშირი საკუთარი დაინტერესებული მხარეების მრავალრიცხოვან ჯგუფებთან მათი მოლოდინებისა და მოთხოვნების გამოსავლენად, აგრეთვე ორგანიზაციის საქმიანობით კმაყოფილების დონის შესაფასებლად.

თითოეულ ჯგუფთან სხვადასხვა მეთოდით ხდება კომუნიკაცია.

თანამშრომლებს, რომლებიც ორგანიზაციის დაინტერესებულ მხარეთა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენენ, ყოველდღიურად ეგზავნებათ დაიჯესტები, რომელშიც მოკლედ არის აღწერილი ორგანიზაციაში მიმდინარე პროგრამების სიახლეები. გარდა ამისა, რეგულარულად (თვეში ერთხელ) ტარდება პერსონალის ერთიანი შეხვედრები, რომლებზეც პროგრამების კოორდინატორები დანარჩენ თანამშრომლებს აცნობენ თითოეული პროგრამის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობას და უახლოეს სამომავლო გეგმებს. ამ შეხვედრებზე თანამშრომლებს შეუძლიათ აგრეთვე დასვან შეკითხვები და წამოწიონ და განიხილონ ნებისმიერი ორგანიზაციული, თუ პროგრამული საკითხი, რომელიც მათი აზრით რაიმეს შეცვლას ან დახვეწვას საჭიროებს.

დონორებისათვის გარკვეული რეგულარობით მზადდება საქმიანობის პროგრამული და ფინანსური ანგარიშები და წარედგინებათ სამომავლო საქმიანობის გეგმები. უკუკავშირის მიღება ხოციელდება აღნიშნუკლ ანაგრიშებსა თუ სამოქმედო გეგმება და პროგრამებზე კომენტარების სახით. გარდა ამისა, ტარდება საკონსულტაციო-საინფორმაციო შეხვედრები.

სამიზნე თუ პარტნიორ სამოქალაქო ორგანიზაციებთან (იქნება ეს სოფლის სათემო ჯგუფები, კოალიციის წევრი თბილისის არასამთავრობო ორგანიზაციები თუ ჩვენი რეგიონული პარტნიორი არასამთავრობოები) რეგულარულად ტარდება საკოორდინაციო და საკონსულტაციო შეხვედრები, რომლებზეც ხდება გამოცდილების გაზიარება, პოზიციების შეჯერება, წამოჭრილი პორბლემების განხილვა და სამომავლო საქმიანობათა დაგეგმვა.

სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლებს, რომლებთანაც ორგანიზაცია ურთიერთქმედებს საქმიანობის პროცესში, აგრეთვე სხვადასხვა სფეროს ექსპერტებსა და ჩვენი გამოცემების ადრესატებს ორგანიზაცია რეგულარულად იწვევს მის მიერ მოწყობილ სემინარებსა და საჯარო განხილვებზე, რომლებზეც ხდება პოზიციების დაფიქსირება და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. „ცენტრის“ მიერ სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურებისათვის მიწოდებული რეკომენდაციები აგრეთვე ხშირად განიხილება ერთობლივ სამუშაო შეხვედრებზე.

გარდა ამისა, ჩვენს „ბიულეტნში“ გამოქვეყნებული სტატიების ავტორებს (ანუ „ცენტრის“ ექსპერტთა ქსელის წევრებს) პროგრამების კოორდინატორები რეგულარულად აცნობენ „ცენტრის“ კვლევითი საქმიანობისათვის დასახულ გეგმებს. ავტორებს შესაძლებლობა აქვთ შეიტანონ გარკვეული კორექტივები ამ გეგმებში და, მაგალითისათვის, შესთავაზონ პროგრამის კოორდინატორებს რაიმე დამატებით საინტერესო და აქტუალურ საკითხზე კვლევის ჩატარება.

ჩვენს სამიზნე ბიზნეს კომპანიებთან კომუნიკაცია ძირითადად ხორციელდება სხვადასხვა სახის ფორუმებზე და სამუშაო შეხვედრებზე, როგორიცაა „გლობალური შეთანხმების“ რეგიონული ქსელის სამუშაო შეხვდრები, ამერიკის სავაჭრო პალატასთან დაარსებული ”სოციალური პასუხისმგებლობის საბჭოს” სამუშაო შეხვედრები, სოციალური პასუხისმგებლობისადმი მიძღვნილი სხვადასხვა კონფერენციები და სემ-

Our organization constantly stays in touch with numerous groups of its stakeholders, in order to identify their expectations and needs, as well as to evaluate their level of satisfaction with the organization's activity.

A variety of communication methods is applied for different stakeholder groups.

Our employees, one of the most important groups of the organization's stakeholders, are sent daily digests with brief news about our ongoing programs. Besides, general staff meetings are held regularly (monthly), where each program coordinator presents the activities and future plans for their respective programs. During the meetings the personnel are able to ask questions and raise or discuss any organizational or program related issue, which, in their opinion, need to be improved.

Our financial and program reports are regularly prepared for the donors, and future action plans are presented. Feedback is provided by means of comments on the reports or action plans. Co-ordination and consultation meetings are also held regularly with target groups or partner civil organizations (rural community groups, coalition member non-governmental organizations from Tbilisi, or our regional partner NGOs). These provide opportunities for sharing experience, aligning different positions, discussing issues and planning future activities.

The organization regularly invites our interlocutory government representatives, as well as various spherical experts and addressees of our publications, to seminars and public hearings organized by us, where opinions are expressed and exchanged. Recommendations made by CSRDG to various government agencies are also often discussed at joint work meetings.

Furthermore, program coordinators regularly inform the authors of the articles published in our bulletins (members of CSRDG's network of experts) about the plans made for our research activity. The authors have opportunities to make certain corrections in the plans and offer suggestions (e.g. recommend program coordinators to conduct research on some other additional or relevant issues).

We mainly communicate with our target private companies at different forums and workshops, such as meetings of the regional network of the Global Compact, meetings organized by the Social Responsibility Council of the American Chamber of Commerce and various conferences and seminars dedicated to the social responsibility etc.

Feedback from the beneficiaries of our services (trainings and consultations) is received through special questionnaires that are distributed to the participants as well as through special surveys.

Media sources are regularly provided with information about our activities through press-releases and other hand-outs. We conduct daily content analysis of the main media sources, and our experts' special comments on any important issues identified are provided to the respective Media. If needed, press-conferences and discussions with the Media are organized, where they can obtain answers on questions of interest to them.

Other instruments for keeping the stakeholders informed and communicating with them are our internet website and our publications (regular bulletins, annual reports and other publications). CSRDG's contact details, as well as a request to contact us and give us feedback, is provided on the website and published in every bulletin. This is quite an active mechanism, and readers of our publications or website visitors regularly call CSRDG with various questions or comments. The comments received are collected, discussed and considered

ინარები და სხვა.

ჩვენი სერვისების (ტრენინგებისა და კონსულტაცების) ბენეფიციარებისგან უკუკავშირის მიღება ხორციელდება სპეციალური კითხვარების მეშვეობით, რომელბიც ურიგდებათ ტრენინგის მინაწილეებს, აგრეთვე სპეციალური გამოკითხვების მეშვეობით.

ხოლო მას-მედიის საშუალებებს პრესრელიზების და განცხადებების სახით რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია ჩვენი საქმიანობის შესახებ. ორგანიზაცია აგრეთვე ყოველდღიურად აწარმოებს ძირითადი მედია საშუალებების კონტენტ-ანალიზს, რომლის შედეგად გამოვლენილ მნიშვნელოვან საკითხებზე კეთდება ორგანიზაციების ექსპერტების კომენტარები და მიეწოდება შესაბამის მედია საშუალებებს. საჭიროების შემთხვევაში ეწყობა პრესკონფერენციები და სადისკუსიო შეხვედრები მედიასთან, სადაც მათ შეუძლიათ მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე.

დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისა და მათთან კომუნიკაციის ინსტრუმენტს წარმოადგენს აგრეთვე ჩვენი ვებ-გვერდი და ჩვენი პუბლიკაციები (რეგულარული ბიულეენი, წლიური ანგარიში და სხვა გამოცემები). როგორც ვებ-გვერდზე, ისე ყველა ჩვენს გამოცემაში განთავსებულია „ცენტრის“ საკონტაქტო ინფორმაცია და თხოვნა, დაგვიკავშირდენ და მოგვაწოდონ საკუთარო მოსაზრებები და შენიშვნები. ეს მექანიზმი საკმაოდ ქმედითია — „ცენტრში“ რეგულარულად რეკავენ ჩვენი გამოცემებისა თუ ვებ-გვერდის მომხმარებლები სხვადასხვა სახის შეკითხვებითა თუ კომენტარებით. გამოთქმული მოსაზრებები აღინიუსხება, განიხილება და გათვალიწინებულია შემდგომი საქმიანობის დაგეგმვისას.

„ცენტრი“ აგრეთვე გარკვეული რეგულარობით ატარებს სოციოლოგიურ გამოკითხვებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან, ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებით მათი კმაყოფილების დონის შეფასებისა და წამოჭრილი პრობლემების გამოვლენის მიზნით. კვლევების შედეგებზე დაყრდნობით ხდება ცვლილებების შეტანა მიმდინარე პროექტებში და სამომავლო სტრატეგიის დაგეგმვა.

when planning our next activities.

The Centre also conducts fairly regular sociological research with various target groups aimed at measuring their satisfaction level with our activities and identifying any existing problems. Based on the survey results, changes are made in the current projects and future strategy planned.



# 3 პროგრამული საქმიანობის ანგარიში

# PROGRAM REPORT ON OUR ACTIVITY

## ცენტრის სამწლიანი პროგრამა (2011-2013წწ.)

ცენტრის სამწლიანი პროგრამა ემსახურება ორგანიზაციის მისიის მიღწევას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სამთავრობო, სამოქალაქო და ბიზნესსექტორების ერთობლივ ეფექტიან მონაწილეობას საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესებში და სამივე სექტორის სოციალური პარტნიორობის ჩამოყალიბების მეშვეობით ქვეყნის სოციალურად დაუცველი ფენების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

ამ პროგრამული მიზნის მისაღწევად ორგანიზაციას შემუშავებული აქვს საქმიანობის განხორციელების სხვადასხვა სტრატეგია:

- ინტერესთა დაცვის კამპანიები სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ საკითხებზე;
- საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/საკითხების მიტანა გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე;
- საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობა კოალიციური და ქსელური მუშაობის სტიმულირებით;
- სამთავრობო პროგრამებისა და რეფორმების განხორციელების მონიტორინგი;
- მუნიციპალიტეტების საქმიანობის მონიტორინგი და ანგარიშვალდებულების გაზრდის ხელშეწყობა;
- თემის/სოფლის განვითარება;
- ეროვნული და ადგილობრივი დონის არასამთავრობო ორგანიზაციების და საჯარო სკოლების ტექნიკური დახმარება (კონსულტაციები და ტრენინგები);
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა, ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზით;
- ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლო-

## CSRDG's THREE YEAR PROGRAMME (2011-2013)

CSRDG's Three Year Program aims to achieve the organisation's mission - supporting mutual effective participation of the governmental, public and business sectors in the processes of the democratic development of Georgia and, by establishing social partnership among all three sectors, promoting improvements in the quality of life of socially unprotected population.

In order to achieve these program objectives, the organisation has developed various implementation strategies:

- Advocacy campaigns on State policy priority issues;
- Raise problems/issues which are relevant to the public to the decision makers;
- Support to increase the effectiveness of activities, by stimulating coalition and network types of work;
- Monitoring the implementation of government programs and reforms;
- Monitoring municipality activities and support in increasing their accountability;
- Community/rural development;
- Technical support (consultations and training) to national and local non-governmental organisations and public schools;
- Support for civil society development, by creating a favourable environment;
- Popularisation of Corporate Social Responsibility (CSR) and participation in the development of State policies for SCR support.

ბის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა.

ცენტრი თავის საქმიანობას ქსელურ-კოალიციურ პრინციპებზე დაყრდნობით წარმართავს. თბილისსა და საქართველოს 6 სამიზნე რაიონში — ლაგოდეხი, ოზურგეთი, ჩოხატაური, ყვარელი, სიღნაღი და თელავი — თემის განვითარებისა და მუნიციპალიტეტების მონიტორინგის მიმართულებით საქმიანობა მიმდინარეობს პროგრამის ფარგლებში შექმნილი ქსელის საშუალებით. ქსელი 2002 წლიდან ფუნქციონირებს და მისი წევრები არიან ცენტრის პარტნიორი ორგანიზაციები — „საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია“ (ლაგოდეხი), „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი“ (ოზურგეთი), ხოლო თელავში ქსელის საქმიანობას წარმართავს „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის თელავის ბიურო“. ქსელურად განხორციელებული საქმიანობა რაიონებში აქ არსებული პრობლემების გამოვლენის, მათი სპეციფიკის უკეთ გააზრების და ეროვნულ დონეზე მათი განზოგადების შესაძლებლობას იძლევა.

სამწლიანი პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სამი ქვეპროგრამა: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება; კარგი მმართველობის ხელშეწყობა; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა.

CSRD undertakes its activities in a network-coalition form. In Tbilisi and the six municipalities of Georgia - Lagodekhi, Ozurgeti, Chokhatauri, Kvareli, Sighnaghi and Telavi - community development and municipality monitoring activities are being carried out by a Network created under the program. The Network has been operating since 2002, and its members are CSRDG's partner organisations – "Georgian Civil Development Association" (Lagodekhi) and "Georgian Democratic Development Union" (Ozurgeti). As for Telavi, activities of the Network are carried out by CSRDG Telavi Bureau. Activities carried out through the Network make it possible to identify local problems, better understand their specific nature, and generalise these to the national level.

Three sub-programs are being implemented under the Three Year Program - Strengthening Civil Society Institutions; the Promotion of Good Governance; and Promotion of the Development of Corporate Social Responsibility.



## პროგრამა -სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება

***პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული დონის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციურ და ფინანსურ მდგრადობას, რათა ისინი ადეკვატურად მოემსახურონ და ეფექტიანად წარმოაჩინონ საკუთარი სამიზნე ჯგუფების ინტერესები.***

პროგრამის მიზნის მისაღწევად შემუშავებული სტრატეგია გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობას ხელსაყრელი სამოქმედო გარემოს შექმნის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების ტექნიკურ-ინფორმაციული დახმარების გზით.

პროგრამა მოიცავს როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეს და მიმდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებით. მათ ფარგლებში საქმიანობის წარმართვის მიზნით შემუშავებულია ქვეპროგრამები: საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება და თემის განვითარება.

### თემის განვითარების ქვეპროგრამა

***თემის განვითარების პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს მუნიციპალიტეტებში სოფლის სათემო ჯგუფებისათვის/ორგანიზაციებისათვის რესურსებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რათა მოსახლეობამ ეფექტიანად მოახერხოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია და გაუმკლავდეს ადგილობრივ პრობლემებს.***

პროგრამის სტრატეგია მდგომარეობს საქართველოში მოქმედი სათემო ჯგუფებისთვის/ორგანიზაციებისთვის კომპლექსური სერვისის შეთავაზებაში, როგორიცაა მაგ., საინფორმაციო რესურსების (ინფორმაცია დაფინანსების წყაროების, ტრენინგების, წარმატებულ მაგალითების შესახებ და ა.შ.) ხელმისაწვდომობისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების მდგრადობისათვის ძლიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მათი პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობას. გარდა ამისა, გრ-

## PROGRAM - STRENGTHENING CIVIL SOCIETY INSTITUTIONS

***The goal of the program is to assist the institutional and financial sustainability of local, regional and national civil society institutions, so that they provide adequate services to, and effectively represent the interests of, their target groups.***

The strategy developed to achieve the program goal involves the promotion of civil society development, by creating an environment which is beneficial to action, and providing technical/ informational assistance to non-governmental organisations and community groups.

The program covers both national as well as local levels and is being carried out in two main ways. Two sub-programs have been developed under these activities: Development of Civil Society Organisations, and Community Development.

### SUB-PROGRAM - COMMUNITY DEVELOPMENT

***The community development program is aimed at ensuring resources and information are accessible to community groups/organisations in Georgian municipalities, so that the population is able to effectively use its capacities and tackle local problems.***

The program strategy is to offer community groups/community based organisations operating in Georgia some complex services, such as, for example: ensuring the accessibility of information resources (eg information on funding sources, training, case studies of success, etc.) and experience sharing opportunities. Special attention is paid to the promotion of partnerships with strong civil society organisations, in order to achieve sustainability for community groups/community based organisations.

ძელდება 2008-2010 წლებში პროგრამის ფარგლებში შექმნილი 12 სამიზნე სათემო ჯგუფის/ორგანიზაციის გაძლიერება, რათა მათ უკეთ შეძლონ სოფლის ინტერესების წამოწევა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან მათი ლობირება.

## თემის განვითარების რესურს ცენტრი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბაზაზე 2011 წელს შეიქმნა და ამუშავდა საქართველოს მუნიციპალიტეტებში მოქმედი სოფლის სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების მხარდამჭერი რესურსცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს მათი შესაძლებლობების ზრდას, უწყვეტ ინფორმაციულ კავშირს არსებულ ჯგუფებს შორის და მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ფართო აუდიტორიიისათვის.

## სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა

რესურსცენტრის მიერ შემუშავდა საქართველოში მოქმედი სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების, მუდმივად განახლებადი, მონაცემთა ბაზა, რომელშიც შეტანილია ინფორმაცია 84 სათემო ჯგუფზე/ორგანიზაციაზე, მათი საქმიანობის გეოგრაფიულ დაფარვაზე, ძირითად მიმართულებებსა და სამიზნე ჯგუფებზე, ასევე ბოლო პერიოდში განხორციელებულ აქტივობებსა და მიმდინარე პროექტებზე. ეს ინფორმაცია სათემო ცენტრების რუკის და სპეციალური ფორმატის — ცხრილის — სახით განთავსებულია თემის განვითარების რესურსცენტრის ვებპორტალზე (ინფორმაცია ვებ-პორტალზე იხ. ქვემოთ).

## თემის განვითარების რესურს ცენტრის ვებპორტალი

2011 წელს თემის განვითარების რესურს ცენტრის ბაზაზე შეიქმნა ვებპორტალი — წწწ.ცდრც.გე, რომელიც წარმოადგენს, მუდმივად განახლებადი ინფორმაციის წყაროს თემის განვითარების საკითხზე არა მხოლოდ სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციებისთვის, არამედ დაინტერესებული საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, სამთავრობო სტრუქტურების, ბიზნესისა და მედიის სექტორების წარმომადგენლებისთვისაც.

In addition, the strengthening of 12 target community groups/community based organisations created under the Program in 2008-2010 continues, so that they are better able to bring forward village interests and lobby about these with local government.

## Community Development Resource

CSRDG created a resource centre to support the community groups/organisations operating in Georgia and this started operating in 2011. It helps build the capacity of these organisations, promotes a continuous information flow between existing groups, and helps provide information about them to a broader audience.

## Database of Community Groups/Organisations

A continuously updated database of community groups/organisations operating in Georgia has been created by the resource centre. The database contains information on 84 community groups/ organisations, the geographic coverage of their activities, their main aims and target groups, as well as recent/new activities and ongoing projects. The information is presented on the web-portal of the Community Development Resource Centre in the form of a map of the community centres and a special table (see information about the web-portal below).

## The Web-portal of the Community Development Resource Centre (CDRC)

In 2011, as part of the Community Development Resource Centre, a web-portal www.cdrc.ge was created. The portal is a continuously updated source of information on community development issues and is meant not only for community groups and organisations, but also for the interested public, international organisations, government agencies, and representatives of the business and media sectors.

Through this web-portal, interested organisations are able to get information on such practical and interesting issues as:

ხსენებული ვებპორტალის საშუალებით, დაინტერესებულ ორგანიზაციებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ ინფორმაცია ისეთ პრაქტიკულ და საინტერესო საკითხებზე, როგორებიცაა:

- საქართველოში აქტიურად მოქმედი სათემო ჯგუფები;
- სათემო ჯგუფების დაფინანსების შესაძლებლობები;
- თემის განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციები და პროგრამები;
- თემატური გამოცემები და სასარგებლო ლიტერატურა;
- კონსულტაციები, ტრენინგები, სემინარები და ერთობლივი ღონისძიებები;
- სათემო ჯგუფების წარმატებული მაგალითები;
- ადგილობრივი და საერთაშორისო თემატური ახალი ამბები.

დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის ვებპორტალი კარგი საშუალებაა ფართო აუდიტორიისთვის საკუთარი წარმატებების გასაცნობად: ვებპორტალის ერთი სექცია მთლიანად ეთმობა სათემო ჯგუფების საქმიანობის წარმატებული მაგალითების აღწერას და პოპულარიზაციას, რაც გამდიდრებულია ფოტო-ვიდეო მასალით.

საგულისხმოა, რომ 2012 წელს თემის განვითარების ჟურნალის ფონდის (ჩომმუნიტყ ეველოპმენტ ჟოურნალ'ს ეველოპმენტ უნდ) ფინანსური მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა ვებპორტალის მასალების ინგლისურად თარგმნა და პორტალი ინგლისურენოვანი მომხმარებლებისთვისაც ხელმისაწვდომია. ასევე ფეისბუკზე შეიქმნა თემის განვითარების რესურსცენტრის სპეციალიზებული გვერდი, რომელზეც, ვებპორტალის მსგავსად, განთავსებულია ინფორმაცია ამ მიმართულებით განხორციელებულ საინტერესო პროექტებზე, გამოცხადებულ კონკურსებსა და მიმდინარე სიახლეებზე.

გარდა ამისა, მომზადდა და ყველა დაინტერესებულ მოქმედ პირსა თუ ორგანიზაციას დაეგზავნა რესურსცენტრის 3 საინფორმაციო ელექტრონული ჟურნალი, რომლებშიც თავმოყრილი იყო განვლილი პერიოდის უმნიშვნელოვანესი სიახლეები, საინტერესო ინიციატივები და ასევე ინფორმაცია სხვადასხვა ფონდის საგრანტო კონკურსებზე.

## სემინარები, კონსულტაციები, ტრენინგები

- Community groups actively working in Georgia;
- Possibilities for funding community groups;
- Organisations and programs working on community development issues;
- Thematic publications and useful literature;
- Information on Consultations, training, seminars and joint events;
- Success case studies of community group activities;
- Local and international thematic news.

The web-portal is a good way for interested organisations to publicise their successes to a broader audience: one section of the web-portal is fully dedicated to the description and popularisation of community groups' success stories, and is enriched with photographs and videos.

It should be noted that, with financial support provided in 2012 by the International Community Development Journal's Development Fund, translation of the web-portal materials into English became possible and the portal is now accessible for English speakers as well. Also, a special Facebook page for the community development resource centre was created. Like the web-portal, the Facebook page also presents information on interesting projects in this area, as well as competitions and ongoing news.

In addition, three Resource Centre electronic journals were prepared and distributed to all stakeholders, summarising information on the most interesting recent news, new initiatives, and various grant competitions.

## Seminars, Consultations, Training

In 2012, the topics for seminars and training events were selected by considering the interests and needs of the community groups. This information was collected by means of direct interviews and a web-based interactive survey. After this, the Resource Centre located respective resources (organisations, experts), inviting them to hold events. Members of the target youth community centres, as well as represent-



დაინტერესებულ ორგანიზაციებს რესურსცენტრი სთავაზობს კონსულტაციებს, ასევე ტრენინგებში, თემატურ სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას.

2012 წელს ორგანიზებული სემინარებისა და ტრენინგების თემის შერჩევა ხდებოდა სათემო ჯგუფების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით (პირდაპირი გასაუბრებისა და ვებპორტალის ინტერაქტიული გამოკითხვის საფუძველზე). ამის შემდგომ რესურსცენტრი ახდენდა შესაბამისი რესურსების (ორგანიზაციების, ექსპერტების) მოძიებას, მოწვევას და ღონისძიების ორგანიზებას. ტრენინგებსა და სემინარებზე დასწრების შესაძლებლობა ჰქონდათ როგორც სამიზნე ახალგაზრდული სათემო ცენტრების წევრებს, ასევე საქართველოში მოქმედ სხვა სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც. ინფორმაცია დაგეგმილ ღონისძიებებზე ვრცელდებოდა თემის განვითარების რესურსცენტრის ვებპორტალის საშუალებით.

სათემო ჯგუფებისათვის ჩატარებული სემინარების თემატიკა ეხებოდა როგორც საბუღალტრო საკითხებს, ასევე სოციალური მეწარმეობის წარმატებული მაგალითების და ბიოპროდუქციის წარმოების თემებს.

**პროგრამა ითვალისწინებდა ორი ტიპის ტრენინგებს:**

- ღია ტიპის ტრენინგებს ყველა დაინტერესებული სათემო ჯგუფისთვის;
- ტრენინგებს მხოლოდ სამიზნე სათემო ახალგაზრდული ცენტრებისათვის.

atives of other community groups/community based organisations operating in Georgia were able to attend the training and seminars. Information on planned events was distributed via the Community Development Resource Centre web-portal.

The following topics were addressed in the seminars held for community groups: accounting issues, success case studies of social entrepreneurship and the production of bio-products.

**The program entailed two types of training:**

- Open training for all interested community groups;
- Training only for target community youth organisations.









ჩატარებული ტრენინგების თემატიკა იყო:

- ,,ონლაინ ინსტრუმენტები," - მოიცავდა ბლოგის შექმნისა და მართვის საკითხებს;
- ,,თემთან მუშაობა," - მოიცავდა თემის განმარტების, თემის განვითარების მიზნებისა და ამოცანების, თემთან მუშაობის საფეხურების, ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუს და სათემო კრების, თემთან მუშაობის ხელისშემშლელი ფაქტორების საკითხებს, ასევე ინფორმაციის მოგროვების მეთოდებს;
- ,,მართვის ზოგადი უნარები" – მოიცავდა ორგანიზაციის მართვის არსის, ფუნქციების, დაგეგმვისა და მოტივაციის მნიშვნელობის, ასევე ორგანიზაციის საქმიანობისა და მონიტორინგის ასპექტების საკითხებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ,,ცენტრის" ტრენერებმა ,,სვანეთის ტურიზმის ცენტრის" მოწვევით ჩაატარეს ტრენინგების ციკლი მესტიის თემის აქტივისტებისათვის, ტრენინგების თემატიკა გახლდათ: სამოქალაქო აქტივობა და სათემო განვითარება, პროექტის დაგეგმვა და საპროექტო განაცხადის მომზადება. ტრენინგები ჩატარდა ,,საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის" მიერ დაფინანსებული პროექტის, ,,სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობა ზემო სვანეთში და მისი ჩართვა ადგილობრივ მმართველობაში", ფარგლებში.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს კონსულტაციების მიღება შეეძლოთ რესურსცენტრის ექსპერტებთან უშუალო შეხვედრით, ხოლო ადგილზე არარსებული ექსპერტიზის შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად, მათი გადამისამართება ხდებოდა შესაბამის პირებთან ან ორგანიზაციებთან.

2012 წელს გაცემული კონსულტაციები ეხებოდა: ტენდერებში მონაწილეობის სააპლიკაციო ფორმების შედგენის, პროგრამის სამოქმედო გეგმის შედგენის, ანგარიშის წერის, პრეზენტაციების მომზადების, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის და მართვის სხვადასხვა საკითხს.

The training events covered the following topics:

- "Online instruments" - addressing issues related to creating and managing blogs;
- "Work with the Community" - covered issues of defining communities, community development goals and objectives, the stages of working with a community (including using semi-structured interviews), issues from community meetings and the factors impeding work with the community, as well as information collection methods;
- General Management Skills - covered issues on key skills in organisation management, organisational/management functions, the importance of planning and motivation, as well as aspects of organisation activity and monitoring.

It should also be mentioned here that, at the invitation of the Svaneti Tourism Centre, CSRDG trainers held a training cycle for activists from the Mestia community. The training covered the following topics: civil activity and community mobilization, project planning and project proposal writing. The training sessions were held with financial support from the EU Delegation in Georgia, within the frameworks for "Promotion of Civic Society and its inclusion in the "Local Governance in Zemo Svaneti" project.

As for consultations, interested organisations were able to access these through direct meetings with the Resource Centre experts, and, if the expertise was unavailable locally, they were (as much as possible) signposted to appropriate persons or organisations.

Consultations provided in 2012 addressed the following issues: preparation of application forms to participate in tenders, preparation of program action plans, report writing, prepa-



## საპოპულარიზაციო გამოცემები

2012 წელს თემის განვითარების რესურსცენტრმა გამოსცა ბროშურა ,,თემის განვითარება – საინტერესო ისტორიები". პუბლიკაციაში მოთხრობილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სოფლებში მომუშავე ექვსი სათემო ორგანიზაციის ამბავი, მათი შექმნისა და განვითარების ისტორია, მათ მიერ განვლილი რთული გზა, რომელსაც არაერთი სიკეთე მოუტანია და მოაქვს თემის მოსახლეობისთვის. აღნიშნული ბროშურისთვის ისტორიების შერჩევა განხორციელდა კონკურსის საფუძველზე.

### 12 სამიზნე სათემო ჯგუფის/ორგანიზაციის გაძლიერება

თემის განვითარების პროგრამამ 2012 წელს გააგრძელა წინა წლებში პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული 12 აქტიური სათემო ახალგაზრდული ცენტრის მხარდაჭერა და გაძლიერება, რათა მათ უკეთ შეძლონ სოფლის ინტერესების წამოწევა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან მათი ლობირება.

პროგრამის ექსპერტებმა, სათემო ცენტრებისთვის ჩატარებული სამუშაო შეხვედრებისა და კონსულტაციების შედეგად მოამზადეს ცენტრების საქმიანობის ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

პროგრამის ფარგლებში პროგრამის ექსპერტები სათემო ახალგაზრდულ ცენტრებს მუდმივად უწევდნენ კონსულტაციებს და ატარებდნენ სამუშაო შეხვედრებს ისეთ თემებზე, როგორებიცაა: ორგანიზაციის რეგისტრაცია, ფინანსური ანგარიშგება, პროექტის დაწერა, ანგარიშგებისა და მართვის საკითხები, თვითშეფასება, დაგეგმვა,

ration of presentations, the planning of joint events, and other management related issues.

Publications

In 2012, Community Development Resource Centre published a brochure 'Community Development - Interesting Stories'. The brochure provides stories of six community based organisations operating in Georgia, addressing the history of their creation, development and the difficult road they have passed along which has brought, and is still bringing, a lot of benefits to residents of these communities. The stories for this brochure were selected through a competition.

### Strengthening of 12 Target Community Groups/Community Based Organisations

In 2012, the Community Development Program continued to support and strengthen the 12 active community youth centres created in the previous years, so that they are better able to bring forward the village interests and lobby about these to local governments.

As a result of workshops and consultations held with the community centres, Program experts prepared one year action plans for each centre's activities.

Under this Program, experts were constantly holding consultations and workshops for the community youth centres on such issues as: registration of an organisation, financial accountability, project writing, reporting and



საინიციატივო ჯგუფის გაძლიერება, სათემო ჯგუფების ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება და სხვ.

ასევე რეგულარულად ტარდებოდა სათემო ახალგაზრდული ცენტრების საანგარიშო რეგიონალური შეხვედრები, რომლებზეც ცენტრები საუბრობდნენ მიღწეულ შედეგებსა და წარმატებებზე, აწყობდნენ ფოტო-ვიდეო მასალით გამდიდრებულ პრეზენტაციებს, აგრეთვე განიხილავდნენ საერთო პრობლემებსა და მათი დაძლევის შესაძლო გზებს.

### სათემო ცენტრების საქმიანობის შეფასება

წლის ბოლოს სათემო ცენტრებს ჩაუტარდათ სამუშაო შეხვედრები, განხორციელებული საქმიანობის შეფასებაზე მათი პროგრამული ინდიკატორებისა და შესრულებული საქმიანობების ხარისხის გათვალისწინებით; გარდა ამისა, განხორციელდა გარე შეფასებაც, რაც გულისხმობდა ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვას.

**შიდა შეფასებამ სათემო ცენტრების საქმიანობის მაღალეფექტიანობა და სტაბილური განვითარების მზარდი ტენდენცია აჩვენა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტები, რომ სათემო ცენტრებმა დამოუკიდებლად, პროგრამის დახმარების გარეშე, განახორციელეს 45 ინიციატივა. ამაში იგულისხმება სხვა ფონდებიდან და მუნიციპალიტეტებიდან პრობლემების გადასაჭრელად მოპოვებული დაფინანსება და ასევე პრობლემები, რომლებიც, სათემო ცენტრების ინფორმაციაზე დაყრდნობით, თვითმმართველობებმა მოაგვარეს (ინფორმაცია განხორციელებულ ინიციატივებზე იხ. დანართში #3).**

ჩატარდა მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვა. ძირითადი შეკითხვები უკავშირდებოდა სოფლებში ცენტრების ცნობადობის ხარისხის, მათი საქმიანობით და სერვისებით კმაყოფილების დონის შეფასებას.

საერთო ჯამში, სოფლებში ცენტრების ცნობადობის საკმაოდ მაღალი დონე დაფიქსირდა. მოსახლეობის 85%-მა აღნიშნა, რომ სმენია ასეთი ცენტრის შესახებ. ამ ჯამური მაჩვენებლიდან, 40% კარგად იცნობს ცენტრის საქმიანობას, ხოლო 45%-ს სმენია ცენტრის შესახებ.

management issues, self-evaluation, planning, strengthening 'initiative groups', planning and organising of joint events between community groups, and other issues.

Regional reporting meetings of the community youth centres were also held regularly, discussing the achievements and success, holding presentations enriched with photo and video materials, talking about common problems and possible ways of overcoming them.

### Evaluation of the Community Centres' Activities

At the end of the year, evaluation workshops were held for community centres to discuss their program indicators and the quality of their work. In addition, an external evaluation was also carried out using public opinion surveys

**THE INTERNAL EVALUATION SHOWED A HIGH EFFECTIVENESS AND A GROWING TREND OF A STABLE DEVELOPMENT. THE FACT THAT THE COMMUNITY CENTRES INDEPENDENTLY ACCOMPLISHED 45 INITIATIVES WITHOUT ASSISTANCE FROM THE PROGRAM PROVES THE ABOVE STATEMENT. THESE INCLUDE THE FUNDING RECEIVED FROM OTHER FOUNDATIONS AND MUNICIPALITIES TO SOLVE LOCAL PROBLEMS, AS WELL AS THOSE PROBLEMS THAT WERE SOLVED BY MUNICIPALITIES BASED ON THE INFORMATION RECEIVED FROM COMMUNITY CENTRES (INFORMATION ABOUT THE IMPLEMENTED INITIATIVES IS GIVEN IN ANNEX N3).**

As for the sociological survey of population, the main questions related to the level of awareness of the community centres amongst the village population, and evaluated satisfaction with their activities and services.

Overall, awareness of the centres is quite high among residents of the villages, 85% of them stating they have heard about these centres. Out of this cumulative number, 40% said they are well aware of the centres activities, and 45% has heard about them.

**სათემო ცენტრების ცნობადობა**
**Awareness of the Commanity Centers**

**გსმენიათ თუ არა რაიმე თქვენს სოფელში არსებული სათემო ახალგაზრდული ცენტრის შესახებ?**
**Have you heard anything about the community youth centre in your village?**




სათემო ცენტრების საქმიანობით მოსახლეობა კმაყოფილია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით შეფასება ერთმნიშვნელოვნად დადებითია. რესპონდენტების 99%-მა ამ კითხვას დადებითად უპასუხა.

As for the level of people's satisfaction with the activities of the community centres, it should be noted that the evaluation was unambiguously positive - 99% of the respondents answered the question positively.

**სათემო ცენტრებით კმაყოფილების ხარისხი**
**Level of Satisfaction with the Community Centers**

**რამდენად მოგწონთ ცენტრის საქმიანობა?**
**How much do you like the activities of the Centre?**




ზემოთ აღწერილი ორივე შეფასების შედეგები გათვალისწინებული იქნება თითოეული ცენტრის ახალი, 2013 წლის, სამოქმედო გეგმის შემუშავებისას.

Results from both the above evaluations will be considered when preparing new action plans for each centre in 2013.

## თანამშრომლობა თემის განვითარებაზე მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

2012 წელს „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“ აქტიურად გააგრძელა თანამშრომლობა საქართველოში თემის განვითარებაზე მომუშავე 8 ორგანიზაციასთან, რომლებიც წარმოადგენენ „ეკლესიის განვითარების სააგენტოს“ (EED) პარტნიორ ორგანიზაციებს. შეგახსენებთ, რომ 2011 წელს ხსენებულმა ორგანიზაციებმა ერთობლივად მოამზადეს გამოცემა თემთან მუშაობის გამოცდილებაზე, რაც პარტნიორული ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების კარგ სტიმულად იქცა. გაერთიანების ფორმების, სტრუქტურისა და სტრატეგიის განსაზღვრის მიზნით მოეწყო სამუშაო შეხვედრა, რომელზეც გადაწყდა, რომ გაერთიანებას საწყის ეტაპზე, უმჯობესია, არაფორმალური კოალიციის სტატუსი ჰქონდეს. ამავე შეხვედრაზე შემუშავდა მისი მისია და სტრატეგიული მიმართულებები, ასევე გაიწერა დეტალური ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ხოლო, რაც შეეხება ერთობლივ გამოცემას, იგი ფართო საზოგადოებას წარედგინა 2012 წლის დეკემბერში მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული სათემო მობილიზაციის პროექტის შედეგების პრეზენტაციაზე.

## Cooperation with Local and International Organisations Working on Community Development

In 2012, the Centre for Strategic Research and Development of Georgia continued active cooperation with 8 organisations working on community development issues in Georgia. These represented partner organisations of the Church Development Agency (EED). In 2011, these organisations prepared a joint publication on their experience of work with the community, which became a good stimulus for further deepening partnership relations. A workshop was held to determine the form, structure and strategy of the group and a decision was made that, for the first stage of joint working, it would be better to have an informal coalition status. Its mission and strategic direction were also defined at the same meeting and a detailed one year action plan was developed. As for the joint publication on community development project outcomes, this was presented to a broad audience, supported World Bank funding, in December 2012.



## ქვეპროგრამა — საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება

***პროგრამის მიზანია სოფლის, რეგიონალური და ეროვნული დონის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ორგანიზაციული მდგრადობის ხელშემწყობი სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.***

დასახული მიზნის მისაღწევად პროგრამის მიერ შემუშავებული სტრატეგია არის, ერთი მხრივ, სოციალური მეწარმეობით დაინტერესებული ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინფორმაციული, ტექნიკური (ტრენინგები, კონსულტაციები და ა.შ) და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, ხოლო, მეორე მხრივ, რეგიონალური და ეროვნული დონის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანობის ამაღლება ორგანიზაციული განვითარებისა და ახალბედა მენეჯერების უნარების გაღრმავების გზით.

პროგრამის ექსპერტების მიერ შემუშავებული სერვისები მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციულ გაძლიერებას და მიმართულია ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობისა და მართვის პროცესების გაუმჯობესებისაკენ.

### სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის საწინდარია დაფინანსების ალტერნატიული გზების მოძიება და მათი გამოყენება. სოციალური მეწარმეობა გახლავთ მსგავსი ალტერნატივა. ამან განაპირობა პროგრამის ექსპერტების აღნიშნული საკითხით დაინტერესება და 2009 წლიდან ცენტრი აქტიურად მუშაობს საქართველოში სოციალური მეწარმეობის იდეისა და პრაქტიკის პოპულარიზაციის, მისი დანერგვის მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში 2012 წელს გაცემული მიკროგრანტები, ჩატარებული ტრენინგები და კონსულტაციები მიზნად ისახავდა სოციალური მეწარმეობით დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციულ გაძლიერებას და მიმართული იყო ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობისა და მართვის პროცესების გაუმჯობესებისაკენ, ხოლო მათი ინფორმაციული მხარდაჭერა ხორციელდებოდა ვებპორტალის, ელექტრონული საინფორმაციო დაგზავნებისა და სოციალური ქსელის საშუალებით.

## SUB-PROGRAM – THE DEVELOPMENT OF CIVIL SOCIETY ORGANISATIONS

***The goal of the program is to provide accessible services to promote the organisational sustainability of village, regional and national civil society organisations.***

To achieve this goal, the program strategy is, on the one hand, the provision of information, technical (training, consultations, etc.) and financial resources to Georgian civil society organisations interested in social enterprise, and, on the other hand, raising of the effectiveness of regional and national civil society organisations by deepening the organisational development and the skills of young managers.

The services developed by the program experts are aimed at strengthening the organisation of civil society groups and improving their financial sustainability and management processes.

### Promotion of the Development of Social Entrepreneurship

Looking for alternative sources of funding and using them is a pre-requisite for ensuring the development and sustainability of civil society organisations. Social entrepreneurship is such an alternative. This, together with the knowledge of the CSRDG expert, informed this program and, since 2009, CSRDG has been actively working to popularise and implement social entrepreneurship in Georgia.

The micro-grants issued within the program, as well as the training and consultation events, were aimed at strengthening the civil society organisations, as well as the improvement of the organisations' financial sustainability and management processes. As for information support, this was provided by the web-portal, electronic information bulletins and social networks.

### საინფორმაციო-ანალიტიკური ვებ-პორტალი

პროგრამის ფარგლებში 2010 წლიდან ფუნქციონირებს საინფორმაციო-ანალიტიკური ვებპორტალი წწწ.ცსე.გე. აღნიშნული თემატური პორტალი ეძღვნება სოციალური მეწარმეობის საკითხს. აქ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა, მიიღოს ამომწურავი და საჭირო ინფორმაცია სოციალური მეწარმეობის თეორიულსა და პრაქტიკულ საკითხებზე, როგორებიცაა:

- სოციალური მეწარმეობის კონცეფცია, მისი ფორმები და მნიშვნელობა;
- სოციალური საწარმოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო გარემო საქართველოში;
- კვლევები და პრაქტიკული მაგალითები სოციალური მეწარმეობის საკითხებზე;
- სოციალური საწარმოების დაფინანსების შესაძლებლობები;
- თემატური სასარგებლო ბმულები.

ვებ-პორტალზე ასევე განთავსებულია ინფორმაცია პროგრამის ექსპერტების მიერ შემუშავებულ სერვისებზე: თემატურ ტრენინგებსა და კონსულტაციებზე, სოციალური მეწარმეობის ელექტრონულ ჟურნალზე. დაინტერესებულ ადამიანებს შეუძლიათ დასვან მათთვის აქტუალური შეკითხვები, გამოთქვან ვებპორტალის მუშაობასთან დაკავშირებული თვალსაზრისი და სურვილები.

სოციალური მეწარმეობის საკითხით დაინტერესებულ ორგანიზაციებს კვარტალურად ეგზავნებათ ელექტრონული ჟურნალი სოციალურ მეწარმეობაზე, რომელშიც ასახულია განვლილ პერიოდში ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ქვეყანაში. წარმოდგენილია საქართველოში მოქმედი ფონდების სხვადასხვა ინიციატივა, ასევე ქართული და უცხოური წარმატებული სოციალური საწარმოების მაგალითები. „ახალი ამბების“ ფორმატით დაინტერესებული პირები კი  იღებენ ინფორმაციას საგრანტო

### Informational-Analytical Web-Portal

Since 2010, an informational-analytical web-portal www.cse.ge has been operating within the program. The portal is dedicated to social entrepreneurship issues. Any interested person is able to get extensive and relevant information on theoretical and practical issues related to social enterprise, such as:

- The concept of social entrepreneurship, its forms and importance;
- The legislative base in Georgia, regulating economic activities of social enterprises and civil society organisations;
- Research and practical examples on social entrepreneurship issues;
- Opportunities for funding social enterprises;
- Thematic/useful links.

The web-portal also carries information on the services developed by program experts: thematic training and consultations and an electronic journal on social entrepreneurship. Interested persons can ask questions about issues which are important to them as well as provide comments and recommendations regarding the work of the web-portal.

A quarterly journal on social entrepreneurship is sent to organisations interested in the issue. It presents the recent activities undertaken in Georgia on this issue. The journal presents the various initiatives of Foundations operating in Georgia, as well as case studies of successful social enterprises in Georgia and internationally. In the "News" section, those interested receive information on grant competitions, planned training, presentations and other events. An electronic, constantly updated, database has been created for the distribution of the journal and currently consists of 310 organisations.

In addition, to popularize the concept of social entrepreneurship, a special page on social enterprise has been created on Facebook. As with the web-portal, the page contains infor-

კონკურსებზე, მოსალოდნელ ტრენინგებზე, პრეზენტაციებსა და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებზე. ინფორმაციის შესატყობინებლად შექმნილია მუდმივად განახლებადი ელექტრონული ბაზა, რომელშიც ამჟამად 310 ორგანიზაცია ირიცხება.

გარდა ამისა, სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაციის მიზნით, ფეისბუკზე შექმნილ სოციალური მეწარმეობის სპეციალიზებულ გვერდზე, ვებპორტალის მსგავსად, განთავსებულია ინფორმაცია ამ მიმართულებით განხორციელებულ ინიციატივებსა და მიმდინარე სიახლეებზე. აღნიშნული გვერდი გახლავთ ფართო საზოგადოებაში სოციალურ მეწარმეობაზე ინფორმაციის გავრცელების დამატებთი საშუალება.

### ტრენინგები სოციალური მეწარმეობის საკითხზე:

2012 წელს სოციალური მეწარმეობის საკითხზე თბილისსა და რეგიონებში ჩატარებულ 3 ტრენინგ-კურსს დაესწრო 65 მონაწილე.

სოციალური მეწარმეობის თემაზე ცენტრის ტრენერ-კონსულტანტების მიერ შემუშავებულია 3 სახის ტრენინგი:

- სოციალური მეწარმეობის შესავალი კურსი - ტრენინგი სოციალური მეწარმეობის ზოგადკონცეპტუალურ საკითხებზე, მის ფორმებსა და როლზე სამოქალაქო საზოგადოებაში;
- ბიზნესის გეგმების შემუშავება სოციალური საწარმოსთვის - ტრენინგი ეძღვნება სოციალური საწარმოს ორგანიზაციული და ფინანსური მართვის, მარკეტინგის და გადასახადების საკითხებს;
- სოციალური და ბიზნესმიზნების დაგეგმვა და შეფასება – ტრენინგი ეხმარება სოციალურ საწარმოებს უკეთ გააანალიზონ თავიანთი საქმიანობის სოციალურ და ეკონომიკურ მიზნებს შორის ბალანსი და შეაფასონ სოციალური შედეგები.

### მიკროგრანტები სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებისა და სოციალური მეწარმეობის განვითარების

mation on the new initiatives and current news in this field. The page is an additional means for distributing information on social entrepreneurship.

### Training on Social Entrepreneurship Issues

In 2012, the four training courses on social entrepreneurship held in Tbilisi and regions were attended by 65 participants.

The trainers/consultants in social enterprise developed three types of training:

- Introductory course to social entrepreneurship – covering the general concepts of social entrepreneurship, its forms and role in the civil society;
- Development of business plans for a social enterprise – is dedicated to social enterprise organisational and financial management, marketing and taxation issues;
- Planning and evaluation of social and business goals – helps social enterprises to better analyse the balance between the social and economic goals of their activities, and evaluate social impacts.

### Micro-grants for the Development of Social Entrepreneurship

In order to improve the financial sustainability of civil society organisations and to develop social enterprise, the Program issues micro-grants to those organisations which are already engaged in economic activity or are willing to start social businesses.

In 2012, the Abkhazintercont Foundation's project was funded. This civil society organisation works to promote the sustainable development of small business and farming, improving the social and economic conditions of internally displaced persons and other people in need, as well as the protection of the rights of margin-



მიზნით პროგრამა გასცემს მიკროგრანტებს იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც უკვე ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას ან აქვთ მსგავსი აქტივობის წამოწყების სურვილი.

2012 წელს პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ფონდი ,,აფხაზინტერკონტის" პროექტი. აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაცია მუშაობს მცირე და ფერმერული ბიზნესის მდგრადი განვითარების ხელშეწყობაზე, იძულებით გადაადგილებული პირებისა და შეჭირვებული მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და მარგინალური ჯგუფების უფლებების დაცვაზე.

პროექტის მიზანია: სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვით შეჭირვებული მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა და დამოუკიდებელი სამეწარმეო აზროვნების განვითარება, ასევე სოციალურ საწარმოში შეჭირვებული მოსახლეობის დასაქმება, მათთვის სათბურებში მუშაობის სპეციფიკის შესწავლა, ხოლო პროექტის შედეგად მიღებული შემოსავლით მათთვის სათბურების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ხსენებული ადამიანების სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას და გააუმჯობესებს მათ საცხოვრებელ პირობებს.

გარდა ზემოხსენებული ახლად დაფინანსებული ინიციატივისა, წარმატებით მიმდინარეობს წინა წლებში პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული შვიდი პროექტი, კერძოდ:

სოციალური საწარმო ,,მწვანე სახლი" - დააფუძნა კავშირმა „ინვალიდი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება". 200 კვადრატული მეტრის ფართობზე მოწყობილია სასათბურე მეურნეობა, სადაც მოჰყავთ დეკორატიული

alized groups.

The project goal was: to increase the income of the needy population by introducing new technologies in agriculture, the development of independent entrepreneurship thinking, as well as employment of the poor in social enterprises – teaching them the specifics of work in nurseries and greenhouses. The income generated by the project will be used to open greenhouses for them. This will help the socio-economic integration of these groups and improve their living conditions.

In addition to the above newly funded initiative, seven other projects funded by the Program in the previous year are also being successfully implemented:

The social enterprise "Green House" was created by the union of "Disabled Child, Family, Society". A nursery of decorative plants is arranged on a 200 square meter area, and it employs beneficiaries of the organisation – people with limited abilities.

"Sewing Atelier" was started by the "Society of Samtskhe-Javakheti Democrat Women". The enterprise makes clothing for women. Women who have been victims of domestic violence are working in the enterprise in order to solve their economic problems.

The "Car Wash" social enterprise - was founded by a civil society organisation "Child and Environment". As a result of the project, activities of the carwash have been widened, and

მცენარეები. საწარმოში დასაქმებული არიან ორგანიზაციის ბენეფიციარები – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები.

**,,სამკერვალო საამქრო"** - დააფუძნა სამცხე-ჯავახეთის „დემოკრატ ქალთა საზოგადოებამ“. საწარმოში იკერება ქალბატონებისთვის განკუთვნილი ტანისამოსი. საწარმოში დასაქმდნენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალები თავიანთი ეკონომიური პრობლემების მოგვარების მიზნით.

**სოციალური საწარმო ,,ავტოსამრეცხაო"** – დააფუძნა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „ბავშვი და გარემო“, პროექტის შედეგად ავტოსამრეცხაოს საქმიანობა გაფართოვდა და ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფებისთვის ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნა. საწარმოში დასაქმებული არიან სოციალურად დაუცველი მოზარდები.

მეფუტკრეობის განვითარება – არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ლელის“ პროექტის იდეა. სოციალურმა საწარმომ პირველი წლის საქმიანობით განსაზღვრული მოსამზადებელი სამუშაოები წარმატებით განახორციელა. უახლოეს მომავალში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ფინანსური შემოსავალი მოხმარდება ადგილობრივი თემის განვითარებას, კერძოდ, თემის მოსახლეობის არაფორმალურ განათლებას და მათთვის სხვადასხვა პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლებას.

**სოციალური კაფე „ქედელი“** - ქ. სიღნაღში აამუშავა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი – თემი ქედელი“. კაფე „ქედელი“ საქართველოში დაფუძნებული პირველი სოციალური კაფეა. კაფეში ეწყობა ხელოვნების საღამოები, შესაძლებელია სხვადასხვა სადღესასწაულო თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება, მოქმედებს ადგილზე მიტანის სერვისი. ასევე ფეისბუკზე შეიქმნა კაფეს გვერდი. სოციალური საწარმოს მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საწარმოს სოციალური დატვირთვა მდგომარეობს, პირველ რიგში, სამიზნე ჯგუფების დასაქმებაში. კერძოდ, ხსენებულ ჯგუფებში შედიან: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალბატონები, უკიდურესად ხელმოკლე, ობოლი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამი-

new workplaces have been created for the target group. Socially unprotected youth are employed in the enterprise.

Development of Beekeeping was the idea of a civil society organisation "Leli". The social enterprise successfully completed the preparatory activities planned for the first year. In the near future, the revenues generated from sales of products will be used for local community development, in particular, informal education for community residents and teaching them various practical skills.

The Social Café "Kedeli" - was opened in Sighnaghi by the civil society organisation "Counselling Union-Community Kedeli of the Socially Unprotected Population of Sighnaghi Region". This is the first social enterprise café to open in Georgia. Evenings of arts activities are held here. It is also possible to organise events and hire the café for various special days. A delivery service is also offered. A Facebook page for the café was created. The goal of the social enterprise is to secure employment for socially unprotected people and help their integration with the public.

The social goal of all the above enterprises is primarily to provide employment for their target group, including: people with limited abilities, female victims of domestic violence, the poorest groups, orphans, Internally Displaced Persons (IDP's), street children, children with life threatening diseases and their family members. Employment in the listed social enterprises gives their beneficiaries an opportunity to have their own income and to integrate with the public. In addition, income generated from the enterprises is used to achieve their social goals. Currently, these enterprises have provided employment to 16 persons.

### Consultations on Social Entrepreneurship Issues

CSRDG experts provided consultations on social entrepreneurship issues specifically to those organisations funded under the grants



ანები, დევნილი და ქუჩის ბავშვები, სიცოცხლისთვის საშიში დაავადებებით შეპყრობილი ბავშვები და მათი ოჯახის წევრები. ჩამოთვლილ სოციალურ საწარმოებში დასაქმება საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბენეფიციარებს საკუთარი შემოსავლის მიღებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობას აძლევს. გარდა ამისა, საწარმოდან მიღებული შემოსავალი ხმარდება ორგანიზაციების მიზნების განხორციელებას. ამჟამად საწარმოებში დასაქმებულია 16 ადამიანი.

### კონსულტაციები სოციალური მეწარმეობის საკითხზე

სოციალური მეწარმეობის სხვადასხვა ასპექტზე ცენტრის ექსპერტები კონსულტირებას უწევდნენ როგორც საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსებულ ეკონომიკური საქმიანობის მქონე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სათემო ჯგუფებს, ასევე ზოგადად სოციალური მეწარმეობის საკითხით დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

კონსულტაციები ეხებოდა ორგანიზაციების ეკონომიკურ საქმიანობაში წამოჭრილ სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს, როგორებიცაა: ბიზნესგეგმის შედგენა, მარკეტინგი, ფინანსების მართვა, გადასახადები და ა.შ. 2012 წელს საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 14 საზოგადოებრივ და სათემო ორგანიზაციას.

### გამოცემები სოციალური მეწარმეობის საკითხზე

2012 წელს ,,ცენტრის" პროგრამის ფარგლებში გამოიცა პირველი ქართული სახელმძღვანელო სოციალური მეწარმეობის თემაზე. სახელმძღვანელოში განხილული საკითხები მისადაგებულია საქართველოში აღნიშნული მიმართულებით არსებულ რეალობას, კერძოდ კი ეხება:

- სოციალური მეწარმეობის არსს;
- სოციალური მეწარმეობის ევროპულ და ამერიკულ სკოლებს;
- სოციალური საწარმოს განვითარების ნაბიჯებს;
- სოციალური მეწარმეობასა და ინოვაციას – იდეების განვითარება;
- მიზანშეწონილობის ანალიზს;

competitions, as well as, more generally, to organisations interested in social entrepreneurship.

The consultations addressed various relevant issues that had arisen from the economic activities of the organisations, such as: the preparation of a business plans, marketing, financial management, taxation issues, etc. In 2012, consultation services were provided to 14 civil society and community based organisations.

### Publications on Social Entrepreneurship Issues

In 2012, CSRDG published the first Georgian handbook on social entrepreneurship. The issues discussed in the handbook are adapted to the Georgian reality and address the following:

- The concept of social entrepreneurship;
- European and American schools of social entrepreneurship;
- Steps necessary for the development of a social enterprise;
- Social entrepreneurship and innovation – the development of ideas;
- Feasibility studies;
- Market research;
- Social and economic goals of the enterprise;
- Business planning
- Evaluation of social impacts;
- Legislative bases for social entrepreneurship in Georgia.

The handbook is available on the informational-analytical web-portal created by CSRDG www.cse.ge.

### The Promotion of Network Activities for Social Enterprises Operating in Georgia

In 2012, the first joint meeting of Georgian social enterprises was organised by CSRDG. Leaders of up to 50 social enterprises and representatives of organisations working in this area

- მარკეტინგულ კვლევას;
- საწარმოს სოციალურ და ეკონომიკურ მიზნებს;
- ბიზნესგეგმას (მარკეტინგი, ფინანსები);
- სოციალური შედეგების შეფასებას;
- საქართველოში სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო საფუძვლებს.

სახელმძღვანელო ელექტრონულია და განთავსებულია, ხელმისაწვდომია ,,ცენტრის" მიერ შექმნილ საინფორმაციო-ანალიტიკურ ვებ-პორტალზე www.cse.ge.

**საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების ქსელური საქმიანობის ხელშეწყობა**

2012 წელს თბილისში ,,ცენტრის" ორგანიზებით გაიმართა ქართული სოციალური საწარმოების პირველი ერთობლივი შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდა 50-მდე სოციალური საწარმოს ლიდერი და სოციალური მეწარმეობის განვითარების სფეროში მოქმედი ორგანიზაციების წარმომადგენლი.

სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეებს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ ერთმანეთის საქმიანობას და ემსჯელათ სოციალური მეწარმეობის გამოწვევებზე საქართველოში. სოციალური საწარმოების წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ მსჯელობა წარიმართა ე.წ. „მსოფლიო კაფეს" პრინციპით სამ სამუშაო ჯგუფში, კერძოდ:

ჯგუფი I – სოციალური საწარმოების საარსებო სამართლებრივი გარემო;

ჯგუფი II- სოციალურ საწარმოთა საჭიროებები ორგანიზაციული გაძლიერებისა და ეფექტიანობის ზრდისათვის;

ჯგუფი III – ფინანსების ხელმისაწვდომობა სოციალური საწარმოს ინიცირებისა და განვითარებისათვის.

ჯგუფებში მონაწილეებმა იმსჯელეს სოციალური საწარმოების დღევანდელ მდგომარეობაზე, არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე, ასვევე პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზებზე.

participated in the meeting.

In the workshop, participants were able to become familiar with each other's activities and discuss the challenges of social entrepreneurship in Georgia. The latter discussion was held in a "World Cafe" style in which three working groups explored:

Group I The legislative environment for social enterprises;

Group II The needs of social enterprises for organisational development and increasing their effectiveness;

Group III The accessibility of finances for initiating and developing social enterprise;

Participants of the groups discussed current conditions for social entrepreneurship, the problems and challenges they face and possible ways of problem solving.

**Popularisation of the Social Entrepreneurship Concept**

It is known that the young people are naturally characterised by: boldness, flexibility, the transformation of innovative ideas to reality and energy. All these features play a very important role in a relatively newly established idea: "social entrepreneurship". For this reason, in 2012 the Program put particular effort into the popularizing of social entrepreneurship amongst the youth and the promotion of social enterprises established by them.









**სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაცია**

ცნობილია, რომ ახალგაზრდებისთვის ბუნებრივად დამახასიათებელია: სითამამე, მოქნილობა, ინოვაციური იდეების ტრანსფორმირება, ენერგიულობა. ყველა ეს თვისება ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიოში შედარებით ახლად ჩამოყალიბებულ სფეროში, რომელსაც ,,სოციალური მეწარმეობა" ჰქვია. სწორედ ამიტომ, 2012 წელს პროგრამამ განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართა ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის იდეის პოპულარიზაციისა და მათ მიერ სოციალური საწარმოების ჩამოყალიბების ხელშეწყობისაკენ. კერძოდ, ,,ბრიტანეთის საბჭომ", „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა" და „საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრმა" 2012 წელს ერთობლივად განახორციელეს პროექტი ,,სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად".

ზემოხსენებულ ინიციატივაში მონაწილეობდა თბილისის 4 უნივერსიტეტი. ესენია: ,,ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი",,,კავკასიის უნივერსიტეტი", ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი" და ,,გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი".

სტუდენტებისთვის ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ:

სემინარები, რომელთა მეშვეობით სტუდენტები გაეცნენ სოციალური მეწარმეობის არსსა და მიზნებს, უცხოეთში ამ მიმართულებით დაგროვილ გამოცდილებასა და საქართველოში წარმატებით მოქმედ სოციალურ საწარმოებს.

გაცნობითი ტურები, რომელთა ფარგლებშიც ახალგაზრდები ესტუმრნენ საქართველოში მოქმედ სოციალურ საწარმოებს.

ტურების შედეგად თითოეული უნივერსიტეტის გუნდებისათვის შეირჩა თითო

In particular, in 2012, the British Council, Eurasian Partnership Foundation, and Centre for Strategic Research and Development of Georgia implemented a joint project 'Students for the Promotion of Social Entrepreneurship'.

Four Universities from Tbilisi participated in the above initiative: Georgian-American University, Caucasian University, Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Grigol Robakidze University.

A number of events were held for students, including:

Seminars, during which students became familiar with the concept and goals of social entrepreneurship, foreign experience acquired in this area and successful social enterprises in Georgia.











სოციალური საწარმო, რომელთაც დაუსახეს მონაწილეებს პრობლემური ამოცანა. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის გეგმის შემუშავება იყო გუნდების შიდასაუნივერსიტეტო კონკურსის დავალება. თითოეულ უნივერსიტეტში ჩატარდა შიდა კონკურსი, რომელზეც ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებული გუნდი.

შიდა საუნივერსიტეტო კონკურსებში გამარჯვებულმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს დასკვნით უნივერსიტეტთაშორის კონკურსში. ამისთვის გუნდებმა თავად შეარჩიეს საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მათთან ერთობლივად შეიმუშავეს სოციალური საწარმოს შექმნისა და ამოქმედების პროექტი. დასკვნით კონკურსზე ჟიურიმ გამოავლინა საუკეთესო პროექტი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების გუნდისა და ორგანიზაციის - ,,მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“ - მიერ იყო წარმოდგენილი. გამარჯვებული პროექტის დასაფინანსებლად ,,ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა” გამოყო 15 000 ლარი.

ზემოთ აღწერილი საქმიანობის შედეგად სტუდენტება მიიღეს თეორიული ინფორმაცია სოციალური მეწარმეობის საკითხზე და ამ მიმართულებით შეიძინეს ახალი პრაქტიკული უნარები, ასევე დაამყარეს თანამშრომლობითი კავშირები საინტერესო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

During orientation tours, students visited social enterprises operating in Georgia.

As a result of the tours, one social enterprise was selected for each Student/University team. The enterprises outlined their objectives and the problems they faced. The task of the internal university competition was to develop plans to solve these problems. An internal competition was held within each university, and a panel revealed the winning team.

The teams that had won the internal competitions took part in the final inter-university competition. For this, the teams themselves selected civil society organisations and, together with them, developed projects to establish a social enterprise. For the final tour, the panel revealed the best project, prepared by Tbilisi State University students and a civil society organisation – the movement for "Accessible Environment for All". The Eurasian Partnership Foundation provided 15 000 GEL to fund the winning project.

As a result of the above activities, the students gained theoretical information on social entrepreneurship issues, acquired new practical skills in this area and established partnership relations with interesting civil society organisations.



## საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა

„ცენტრის“ ტრენერთა და ორგანიზაციული განვითარების კონსულტანტთა ჯგუფი ორგანიზაციებს სთავაზობს საჭიროებებზე მორგებულ სხვადასხვა დონისა და თემატიკის ტრენინგ-მოდულებს და ინდივიდუალურ კონსულტაციებს მართვისა და ორგანიზაციული განვითარების საკითხებში.

2012 წელს პროგრამის ტრენერებმა თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 86 საზოგადოებრივი ორგანიზაციისა თუ სათემო ჯგუფის წარმომადგენლისათვის ჩაატარეს თემატური ტრენინგები (იხ. დანართი 4).

**ტრენინგების თემატიკა იყო:**

- მხარდამჭერთა მოზიდვა და თემის მობილიზაცია;
- ინტერესთა დაცვა, თანამშრომლობა, მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- პროექტის წერა.

**წლის ბოლოს ტრადიციისამებრ ჩატარდა გამოკითხვა ,,ცენტრის” მიერ გაწეული სერვისების ეფექტიანობის შესაფასებლად. გამოკითხვამ აჩვენა, რომ მონაწილეთა 87,5 % იყენებს მიღებულ ცოდნასა და უნარებს პრაქტიკაში.**

## The Promotion of Organisational Development for Civil Society Organisations

CSRDG experts and a group of consultants on organisational development offer tailored training modules and individual consultations on various levels and themes on management and organisational development issues.

In 2012, program trainers held thematic training for representatives of 86 civil society organisations and community groups from Tbilisi and various regions of Georgia (see Annex #4).

The training covered the following topics:

- Constituency Building and Community Mobilisation;
- Advocacy, Cooperation and Participation in Decision Making Processes;
- Proposal Development.

**AT THE END OF THE YEAR, A SURVEY WAS CONDUCTED TO EVALUATE THE EFFECTIVENESS OF THE SERVICES PROVIDED BY CSRDG. THIS SHOWED THAT 87.5% OF THE PARTICIPANTS USE THE KNOWLEDGE AND SKILLS GAINED IN REAL LIFE.**

## პროგრამა - კარგი მმართველობის ხელშეწყობას

***პროგრამის მიზანია ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მმართველობის გაუმჯობესება, აგრეთვე მთავრობის მიერ მოსახლეობის საჭიროებებისა და რეალური პრობლემების უფრო ეფექტიანი გათვალისწინება.***

სტრატეგია შემუშავებულია პროგრამის ექსპერტების მიერ „ცენტრის“ კვლევით საქმიანობაზე დაყრდნობით, ასევე საკანონმდებლო და სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობის გამოცდილების გათვალისწინებით და გულისხმობს სამთავრობო სტრუქტურების პოლიტიკის ანალიზს, საჯარო განხილვასა და მონიტორინგს.

პროგრამა მოიცავს როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეს და მიმდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებით, რომელთა ფარგლებში საქმიანობის წარმართვის მიზნით შემუშავებულია ორი ქვეპროგრამა: კვლევები და რეფორმების ხელშეწყობა; თვითმმართველობის განვითარება.

## თვითმმართველობის განვითარების ქვეპროგრამა

***პროგრამის მიზანია საქართველოს 5 მუნიციპალიტეტში ხელი შეუწყოს ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობას და საბიუჯეტო პროგრამებში ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების მაქსიმალურ ასახვას.***

### ქსელური საქმიანობა – თვითმმართველი ერთეულების მონიტორინგი

თვითმმართველი ერთეულების მონიტორინგი ხორციელდება თელავში, ლაგოდეხში, სიღნაღში, ოზურგეთსა და ჩოხატაურში. დასახული მიზნის მისაღწევად პროგრამის სტრატეგიას წარმოადგენს აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო პროცესისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული გამჭვირვალობის ნორმების შესრულების მონიტორინგი. პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობები დაფარულია სამოქალაქო მონიტორინგის ქსელით, რომელშიც „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან“ ერთად ჩართულია „საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია“ (კახეთი) და „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი“ (გურია). თელავში პროგრამის საქმიანობას „ცენტრის“ თელავის ბიურო წარმართავს.

### გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება – მიღწეული შედეგები

სამოქალაქო მონიტორინგის ქსელმა, თვითმმართველი ერთეულების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და კარგი მმართველობის პრინციპების გათვალისწინებით, შეიმუშავა საკრებულოს გამჭვირვალობის 16 სპეციალური კრიტერიუმი. 2012 წელს პროგრამა 8 კრიტერიუმის მონიტორინგს ახორციელებდა, კერძოდ კი ესენია:

- მუნიციპალიტეტების საკრებულოებთან საზოგადოებრივი საბჭოების არსებობა;
- საზოგადოებისთვის განსაკუთრებით აქტუალურ საკითხებზე გამართული საჯარო დისკუსიების რაოდენობა;
- მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების მიერ გასვლითი სესიების ორგანიზება;
- წარმომადგენლობითი ორგანოების მორიგი სხდომების შესახებ საზოგადოების დროული ინფორმირება;
- წარმომადგენლობითი ორგანოების კომისიების შესახებ საზოგადოების დროული ინფორმირება;
- საკრებულოს წევრებისა და თანამდებობის პირების ანგარიშგება;
- მუნიციპალიტეტების ვებგვერდების ინფორმატიულობა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის უზრუნველსაყოფად საზოგადოების დროული ინფორმირება.

თითოეული სამიზნე მუნიციპალიტეტისთვის შემუშავდა სარეკომენდაციო წინადადებები და მათი შესრულების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, რომელიც, მედია აქტივობებთან ერთად, ითვალისწინებდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან საკონსულტაციო და

## PROGRAM – THE PROMOTION OF GOOD GOVERNANCE

***The goal of the program is to improve governance at the national and local levels, as well as to ensure the government gives more effective consideration to the population needs and real problems.***

The strategy has been developed by the Program experts based on CSRDG research activity, drawing on the experience of working with legislative and government bodies. The strategy involves an analysis of the policies of government agencies, their public discussion and monitoring.

The program covers both the national, as well as local levels and is implemented through two main sub-programs: Research and Promotion of Reforms; the Development of the Self-Governance.

## SUB-PROGRAM - DEVELOPMENT OF THE SELF-GOVERNANCE

***The goal of the program is to promote transparency in the local budgeting process in 5 municipalities, and achieve maximum consideration of the needs of local residents in the budgeting programs.***

### Network activity - Monitoring of Self-Governed Entities

Monitoring of self-governed entities is carried out in Telavi, Lagodekhi, Sighnaghi, Ozurgeti and Chokhatauri. In order to achieve its objectives, the program strategy is to monitor compliance with the norms and transparency requirements of the budgeting process in the above municipalities envisaged by the legislation. The program activities are delivered by the Civil Monitoring Network, consisting of the Centre for Strategic Research and Development of Georgia, the Georgian Association for Civil Development (Kakheti) and the Union for the Democratic Development of Georgia (Guria). In Telavi, program activities are carried out by CSRDG's Telavi Bureau.

### Transparency and accountability-accomplishments

In terms of monitoring the transparency and accountability of self-governed units, the Civil Monitoring Network (based on Georgian legislation and considering good governance principles) developed 16 special criteria for Sakrebulo (local council) transparency. In 2012, the program carried out monitoring on 8 of these criteria, namely:

- The availability of public councils at the municipality Sakrebulos;
- The number of public discussions held on those issues especially important to the public;
- The organising of external/public sessions by representatives of municipalities;
- The provision of timely information sharing for the public on scheduled sessions of the representative body;
- The provision of timely information sharing for the public on the commissions of the representative bodies;
- The accountability of Sakrebulo members and officials;
- The quality of information on the municipality web-page;
- The provision of timely information sharing for the public to ensure its engagement in the decision making process.

A package of recommendations, as well as action plans to ensure their implementation, was developed for each target municipality. Together with media activities, these packages included consultation and coordination meetings with representatives from local authorities; the engagement of the Network experts in the work of the Sakrebulos and their committees; the mobilisation of community based organisations, etc.

საკოორდინაციო შეხვედრებს; საკრებულოსა და მისი კომისიების მუშაობაში ქსელის ექსპერტთა ჩართულობას; სათემო ორგანიზაციების მობილიზებას და სხვ.

სამოქალაქო მონიტორინგის ქსელის მიერ თელავის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდის მიზნით, 2012 წელს განხორციელებული საქმიანობების შედეგად, შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- ოზურგეთის, ლაგოდეხის, თელავის, სიღანაღისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში შეიქმნა მუნიციპალიტეტების საკრებულოებთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოები, რომლებშიც შედიან ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლები;
- დაიწყო აქტიური მუშაობა სამიზნე მუნიციპალიტეტების ვებგვერდების ინფორმატიულობის დახვეწის და გაუმჯობესების მიმართულებით;
- ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში წამოიჭრა გასვლითი სესიების ორგანიზების საკითხი და შედგა მათი ჩატარების სავარაუდო განრიგი;
- ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებმა დაამტკიცეს საანგარიშო შეხვედრების განრიგი, აღნიშნულ შეხვედრებზე საკრებულოს წევრებმა და თანამდებობის პირებმა ადგილობრივ მოსახლეობას საჯაროდ წარუდგინეს საკუთარი საქმიანობის ანგარიში;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა მოაწყო სოფლის განვითარების პროგრამის საჯარო განხილვები;
- მნიშვნელოვნად შემცირდა საკრებულოს რიგგარეშე სხდომების დასაბუთების გარეშე ჩატარების ფაქტები;
- გაუმჯობესდა წარმომადგენლობითი ორგანოს სხდომის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების მდგომარეობა. ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში მორიგი სხდომები

THE FOLLOWING ACTIVITIES, CARRIED OUT OVER 2012, OF THE CIVIL MONITORING NETWORK 2012 SHOULD BE HIGHLIGHTED. THESE AIMED TO RAISE THE LEVEL OF TRANSPARENCY AND ACCOUNTABILITY OF THE TELAVI, LAGODEKHI, SIGHNAGHI, OZURGETI AND CHOKHATAURI MUNICIPALITIES.

- PUBLIC COUNCILS WERE CREATED IN OZURGETI, LAGODEKHI, TELAVI, SIGHNAGHI AND CHOKHATAURI MUNICIPALITIES, BRINGING TOGETHER REPRESENTATIVES OF LOCAL CIVIL SOCIETY ORGANISATIONS AND THE MEDIA;
- WORK COMMENCED TO IMPROVE THE QUALITY OF INFORMATION ON THE WEBPAGES OF THE TARGET MUNICIPALITIES;
- THE ISSUE OF ORGANISING EXTERNAL SESSIONS WAS REALISED IN EACH MUNICIPALITY AND A E-SCHEDULE FOR HOLDING THESE MEETINGS WAS DRAFTED;
- OZURGETI AND CHOKHATAURI MUNICIPALITIES APPROVED THE SYSTEM FOR REPORTING MEETINGS. IN THOSE PUBLIC MEETINGS, MEMBERS OF THE SAKREBULO AND OTHER OFFICIALS PRESENTED THE REPORT ON THEIR ACTIVITIES;
- OZURGETI MUNICIPALITY HELD PUBLIC DISCUSSIONS WITH THE RURAL DEVELOPMENT PROGRAM;
- IN SAKREBULO THE CONVENING OF EXTRAORDINARY SESSIONS WITHOUT PROPER JUSTIFICATION WAS REDUCED CONSIDERABLY;
- THE SITUATION REGARDING THE PUBLISHING OF INFORMATION ON THE REPRESENTATIVE BODY MEETINGS WAS IMPROVED. IN ALL TARGET MUNICIPALITIES, SESSIONS WERE BEING HELD IN FULL COMPLIANCE WITH THE PROCEDURE FOR THE PRELIMINARY PUBLISHING OF INFORMATION;
- PUBLIC DISCUSSIONS ON THE BUDGET WERE HELD IN ALL TARGET MUNICIPALITIES. IT SHOULD BE NOTED THAT



ტარდებოდა ინფორმაციის წინასწარი გამოქვეყნების პროცედურის სრული დაცვით;

- ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში მოეწყო ბიუჯეტის საჯარო განხილვები. აღსანიშნავია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოეწყო საჯარო განხილვა ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე, რაც აქამდე არც ერთ მუნიციპალიტეტში არ მომხდარა.

## საბიუჯეტო პროცესის მონიტორინგი

2012 წლის დასაწყისში განისაზღვრა სამიზნე მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო სფეროს მონიტორინგის მიმართულებები, კერძოდ:

- საბიუჯეტო პროცესის ვადებისა და პროცედურების დაცვის მხრივ არსებული მდგომარეობა;
- ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების დოკუმენტური და საველე მონიტორინგი;
- დამტკიცებული ბიუჯეტების ანალიზი;
- ბიუჯეტების ყოველკვარტალური და წლიური შესრულების შეფასება.

### საბიუჯეტო პროცესის ვადებისა და პროცედურების დაცვა

საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულია ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის ვადები და პროცედურები, რაც უკავშირდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფორმირებას, დამტკიცებას, აღსრულებასა და ანგარიშგებას. ქსელის ექსპერტები წლის განმავლობაში ატარებდნენ აღნიშნული ვადებისა და პროცედურების დაცვის მონიტორინგს.

IN OZURGETI MUNICIPALITY, PUBLIC HEARINGS ON BUDGET AMENDMENTS WERE HELD – SOMETHING UNPRECEDENTED FOR ANY OTHER MUNICIPALITY UNTIL NOW.

## Monitoring of the budgeting process

At the beginning of 2012, actions for monitoring budgetary activities in the target municipalities were identified. These included:

- A review of the existing situation with regard to keeping to the due timelines and procedures of the budgetary process;
- Documentary and field monitoring of the local budget programs;
- Analysis of the approved budget;
- Evaluation of the quarterly and annual completions of the budgets.

### Compliance with the Budgetary Process: Timelines and Procedures

The budget code defines the timelines and procedures of the local budgetary processes. This relates to the formation of the budget of a self-governed unit, its approval, completion and reporting. Throughout the year, Network experts were monitoring compliance with these timelines and processes.

It should be noted that, compared to the previous years, the situation regarding compliance





უნდა ითქვას, რომ, წინა წლებთან შედარებით, სამიზნე მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო ვადების დაცვის მდომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა, რიგი პროცედურებისა კვლავ დასახვეწია, რის შესახებაც ქსელის ექსპერტების მიერ მომზადებული რეკომენდაციები მიეწოდა სამიზნე მუნიციპალიტეტებს. ისინი ეხებოდა შემდეგ საკითხებს, ესენია: ბიუჯეტის პროექტის გამოქვეყნება; საბიუჯეტო განაცხადის ფორმების დახვეწა; ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ინფორმატიულობა და სტრუქტურა.

### ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების დოკუმენტური და საველე მონიტორინგი

მონიტორინგის განხორციელების მიზნით, წლის დასაწყისში განისაზღვრა ის სფეროები, რომელთა მიმართულებით მიმდინარე პროგრამები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია. კერძოდ, 2012 წელს განხორციელდა სოციალური დახმარების პროგრამებისა და მუნიციპალური საბავშვო ბაღების სისტემაში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი.

დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ქსელის ექსპერტებმა გამოითხოვეს საბავშვო ბაღების შესახებ არსებული საჯარო ინფორმაცია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები. ზედმიწევნით შესწავლილი და გაანალიზებული იყო შემდეგი საკითხები:

- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები:
- განათლების პროგრამები და სტანდარტები;
- ბავშვთა კვება;
- ფინანსები;
- არსებული სათამაშოები (მათი საკმარისობა და მდგომარეობა);
- ბავშვების რაოდენობა და თითოეულ ბავშვზე გათვლილი ფართობი;
- მუშაობის საათები;
- სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა;
- შენობებისა და ინვენტარის მდგომარეობა.

გარდა ამისა, საველე მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ქსელის ექსპერტებმა სამიზნე მუნიციპალიტეტებში მოქმედ ახალგაზრდულ სათემო ცენტრებს ჩაუტარეს

with the budget timelines in the target municipalities has improved. However, a number of procedures still need improvement. Recommendations on this issue were prepared by Network experts and submitted to the target municipalities. These recommendations addressed the following topics: the publication of the draft budget; the improvement of the budget application forms; the quality of information and structure of the budget completion report.

### Documentary and Field Monitoring of the Local Budget Programs

At the beginning of the year, the areas where ongoing monitoring programs are particularly important and prioritised were determined – in particular, the monitoring of social assistance programs and the current situation in the municipal kindergarten system.

To conduct documentary monitoring, Network experts requested public information and other related documents about kindergartens. The following issues were closely studied and analysed:

- Contracts made with the parents;
- Education programs and standards;
- Catering arrangements for children;
- Finances;
- The available toys (amount and condition);
- The number of children and the total space available for each child;
- Working hours;
- Sanitary/hygiene conditions;
- The condition of the building and equipment.

In addition, to carry out field monitoring, Network experts conducted training for the community youth centres of the target municipalities. A method for conducting opinion surveys of kindergarten users in the municipalities was presented. Afterwards, in each municipality, a kindergarten users study was carried out

სემინარები, რომლებზეც გააცნეს მუნიციპალიტეტებში საბავშვო ბაღების მომხმარებლების აზრის კვლევის მეთოდოლოგია, რის შემდგომაც თითოეულ სამიზნე მუნიციპალიტეტში მოქმედი ახალგაზრდული სათემო ცენტრების დახმარებით განხორციელდა მომხმარებელთა გამოკითხვა.

დოკუმენტური და საველე მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე თითოეული მუნიციპალიტეტისთვის შემუშავდა რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც ეხებოდა სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების დახვეწას.

2012 წელს სამიზნე მუნიციპალიტეტებში გაგრძელდა სოციალური პროგრამების დოკუმენტური და საველე მონიტორინგი. ასევე მიმდინარეობდა იმ რეკომენდაციების გათვალისწინების მონიტორინგიც, რომლებიც მუნიციპალიტეტებისთვის ქსელის ექსპერტებმა შეიმუშავეს 2011 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე დაყრნობით.

სოციალური პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების დონის და მათი მიმდინარების ეფექტურობით კმაყოფილების ხარისხის შეფასების მიზნით მუნიციპალიტეტებში, ადგილობრივი სათემო ცენტრების დახმარებით, ჩატარდა აღნიშნული პროგრამების სამიზნე ჯგუფების გამოკითხვა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტებში გაითვალისწინეს მონიტორინგის ქსელის ექსპერტების მიერ 2011 წელს მიწოდებული რეკომენდაციები და სოციალური პროგრამების განხორციელება მნიშვნელოვნად დაიხვეწა. კერძოდ, სამიზნე ჯგუფები მეტწილად იცნობენ სოციალურ პროგრამებს და მათთვის ბევრად გაიოლებულია აღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობა.

with the participation of the community youth centres.

A package of recommendations was developed for each municipality, based on the analysis of information obtained by the documentary and field monitoring, concerning ways of improving the operation of pre-school facilities.

In 2012, documentary and field monitoring of social programs in the target municipalities was carried on. In addition, monitoring of the implementation of recommendations to the municipalities by Network experts (based on monitoring in 2011) was also conducted.

In order to study public awareness of social programs, and satisfaction with their effectiveness, a survey of the target groups of these programs was conducted with assistance from the community centres. The survey showed that recommendations provided by monitoring Network experts in 2011 were taken into account in the target municipalities and the implementation of the social programs had improved considerably. In particular, the target groups in each municipality were aware of the social programs and access to the services provided by these programs had been simplified.

Despite achieving positive results in the target municipalities regarding the implementa-



სამიზნე მუნიციპალიტეტებში სოციალური პროგრამების განხორციელების მიმართულებით მიღწეული დადებითი შედეგების მიუხედავად კვლავ დაფიქსირდა მოქმედი სოციალური პროგრამების საერთო პრობლემები, ასევე ცალკეული დარღვევების შემთხვევები. აღნიშნული შემთხვევები განხილული იქნა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან შემდგომში მათი თავიდან აცილების მიზნით. სოციალური პროგრამების ანალიზისა და მოქალაქეთა გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით ქსელის ექსპერტების მიერ ხუთივე სამიზნე მუნიციპალიტეტისთვის შემუშავდა რეკომენდაციათა პაკეტები.

გარდა ამისა, სოციალური პროგრამების შესახებ მოსახლეობის გაცნობიერების მიზნით, ქსელის ექსპერტების მიერ მომზადდა სამიზნე მუნიციპალიტეტებში მიმდინარე სოციალური დახმარების პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ერთვოდა მარტივად გასაგები ახსნა-განმარტებები შემდეგ საკითხებზე: ვინ არიან პროგრამების სამიზნე ჯგუფები, პროგრამაში ჩართვისთვის გასავლელი პროცედურები და ა.შ. აღნიშნული ინფორმაცია მოსახლეობაში გავრცელდა ახალგაზრდული სათემო ცენტრების დახმარებით.

2012 წელს სამიზნე მუნიციპალიტეტებში მიმდინარე საბიუჯეტო პროცესების მონიტორინგის შედეგების გაანალიზების საფუძველზე ქსელის ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ეხებოდა:

- საბავშვო ბაღებსა და მშობლებს შორის დადებული ხელშეკრულებების დახვეწას;
- დოკუმენტების პრიორიტეტიზაციას;
- სოციალური დახმარების პროგრამების დახვეწას;
- სპეციფიკური სოციალური პროგრამების მიზანშეწონილობას;
- საბიუჯეტო განაცხადის ფორმების დახვეწას;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ინფორმატიულობასა და სტრუქტურას;
- ბიუჯეტის პროექტში შესწორებების შეტანას;
- ახალგაზრდობის მხარდამჭერი პროგრამების განვითარებას;

tion of social programs, common problems with the current social programs were still observed, as well as specific cases of violations. These cases were discussed with representatives from municipalities in order to prevent them in the future. Based on the analysis of the social programs and the public opinion survey results, further recommendations were developed by Network experts for all five target municipalities.

Further, to raise public awareness of the social programs, Network experts prepared a list of ongoing social programs on the following issues in the target municipalities, accompanied with simple brief descriptions of each program: the target groups of the programs; procedures for inclusion in the program, etc. This information was disseminated to the population by the community youth centres.

Recommendations developed by Network experts, based on the analysis of the ongoing budgetary processes in the target municipalities in 2012, related to the following issues:

- The improvement of the contracts made between the kindergartens and the parents;
- Priority of documents;
- The improvement of social assistance programs;
- Relevance of specific social programs;
- The improvement of budget application forms;
- The quality of information and structure of the budget completion report;
- Making amendments to the draft budget;
- The development of programs supporting youth;
- Providing additional funding for youth programs.

As a result of taking these recommendations into consideration:



- დამატებითი დაფინანსებით უზრუნველყოფას/ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების გაზრდას.

ჩამოთვლილი რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად:

- **ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში 2012 წლის სექტემბრიდან დაიხვეწა საბავშვო ბაღებსა და მშობლებს შორის დადებული ხელშეკრულებების ფორმა;**
- **თელავისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში დაიხვეწა საბიუჯეტო განაცხადის ფორმა;**
- **ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების შედეგად გაიზარდა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება;**
- **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ახალგაზრდების პრობლემების მოგვარებისკენ მიმართული პროგრამა, რომლის განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო თანხები.**

### ბიუჯეტების ყოველკვარტალური და წლიური შესრულების შეფასება

წლის განმავლობაში სამიზნე მუნიციპალიტეტებში ხორციელდებოდა მუნიციპალური ბიუჯეტების ყოველკვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშის ანალიზი და შესაბამისი ანალიტიკური დოკუმენტების მომზადება. აღნიშნული ექსპერტული შეფასებები, რომლებიც მოიცავდა ადგილობრივი ბიუჯეტირების ექსპერტულ ხედვას (დოკუმენტების სრული ვერსია იხ. „ცენტრის“ ვებ-გვერდზე www.csrdg.ge).

### მოსახლეობის ჩართვა საბიუჯეტო პროცესებში

ქსელის ექსპერტების მიერ მომზადდა სამიზნე მუნიციპალიტეტების 2012 წლის დამტკიცებული ბიუჯეტების გამარტივებული ვერსია. დაინტერესებული მხარეებისათვის აღნიშნული დოკუმენტების პრეზენტაცია გაიმართა ლაგოდეხსა (კახეთი) და ოზურგეთში (გურია). პრეზენტაციებზე საუბარი იყო იმ

- **THE CONTRACT MADE BETWEEN KINDERGARTENS AND PARENTS WAS IMPROVED IN ALL TARGET MUNICIPALITIES AS OF SEPTEMBER 2012;**
- **THE BUDGET APPLICATION FORM WAS IMPROVED IN TELAVI AND OZURGETI MUNICIPALITIES;**
- **IN ALL TARGET MUNICIPALITIES, FUNDING FOR INFRASTRUCTURE PROJECTS WAS INCREASED BY CUTTING DOWN ADMINISTRATIVE EXPENSES;**
- **IN LAGODEKHI MUNICIPALITY, A PROGRAM AIMED AT SOLVING PROBLEMS FOR YOUNG PEOPLE WAS ESTABLISHED AND FUNDS WERE PROVIDED FROM THE LOCAL BUDGET FOR ITS IMPLEMENTATION.**

### Quarterly and Annual Evaluation of the Budget Completion

During the year, an analysis of the municipal budget quarterly and annual completion reports was carried out in the target municipalities and analytical documents were prepared for each. These evaluations contained expert analysis and advice. Full versions of the documents are available on CSRDG web-site www.csrdg.ge.

### Public Engagement in the Budgetary Processes

The Network experts prepared a simplified version of the approved 2012 budgets in the target municipalities. Presentations about this document were held for stakeholders in Lagodekhi (Kakheti) and Ozurgeti (Guria). During the presentations, the experts addressed the flaws revealed as a result of the analysis of 2011-2012 budgetary processes in the target municipalities, as well as weaknesses (identified by the monitoring) in the transparency of the municipality activities. In addition, the flaws that had been identified in the previous years were corrected during 2012 by means of joint work with the municipalities were discussed.

უზუსტობებზე, რომლებიც სამიზნე მუნიციპალიტეტებში 2011-2012 წლების საბიუჯეტო პროცესების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, ასევე მუნიციპალიტეტების საქმიანობის გამჭვირვალობის მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებულ ხარვეზებზე. გარდა ამისა, განხილული იქნა ქსელის ექსპერტების მიერ ზემოხსენებული მიმართულებებით შემუშავებული რეკომენდაციები და ის ნაკლოვანებები, რომლებიც გასულ წლებში გამოვლინდა და თვითმმართველობებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად დაიხვეწა 2012 წლისათვის.

პრეზენტაციებს ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები, ადგილობრივი მედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, „ცენტრის“ ექსპერტები. ჩატარებული მონიტორინგის შედეგები ფართოდ გაშუქდა ცენტრალურსა და ადგილობრივ მედიაში.

The presentations were attended by high ranking officials from the local government, representatives of the local media, civil society organisations and CSRDG experts. The results of the monitoring were widely covered by the national and local media sources.



## ქვეპროგრამა — კვლევები და რეფორმების ხელშეწყობა

***პროგრამის მიზანია საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოლიტიკის საკითხების საჯაროდ განხილვა და შეფასება, ასევე საზოგადოების სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელთა აზრის გათვალისწინების ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.***

ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი და მწვავე საკითხების კვლევა, ანალიზი და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ინტერესთა დაცვის კამპანიების წარმართვა — ცენტრის მიდგომის ქვაკუთხედია. იგი ხორციელდება როგორც „ცენტრის“ ბაზაზე არსებული ექსპერტების, ისე მოწვეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ. კვლევებისა და რეფორმების ხელშეწყობის პროგრამა გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტული საკითხების ირგვლივ კვლევით საქმიანობას, არამედ მის საჯაროდ განხილვას, „ცენტრის“ რეგულარული გამოცემების, დაინტერესებულ პირებთან შეხვედრების და სემინარების ორგანიზების გზით; თითოეული თემის ირგვლივ ექსპერტული რეკომენდაციების შემუშავებას და შესაბამისი ორგანოებისათვის მიწოდებას; გარდა ამისა, ხდება მათი გათვალისწინების მონიტორინგი და მიღებული შედეგების მასმედიის საშუალებებში გაშუქება.

2012 წელს, გარემოს ღრმა ანალიზის შედეგად, პროგრამის ფარგლებში შეირჩა რამდენიმე პრიორიტეტული სფერო, კერძოდ: ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა; გარემოს დაბინძურება და გარემოსდაცვითი უფლებები; ხელისუფლების დეცენტრალიზაციის რეფორმა; მომხმარებელთა უფლებები. ჩამოთვლილ სფეროებში საკითხები შეირჩა მათი სიმწვავის, საზოგადოებისა და სფეროს ექსპერტთა მხრიდან ინტერესის არსებობის კრიტერიუმებით. საბოლოოდ გამოკვეთილ საკითხებზე ჩატარდა კვლევები და განხორციელდა ინტერესთა დაცვის კამპანიები.

**ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის სფეროში აქცენტი გაკეთდა შემდეგ საკითხებზე:**

- საქართველოში მოქმედი სოციალური და ჯანდაცვითი პროგრამები – 2012 წელს პროგრამის ექსპერტებმა გააგრძელეს

## SUB-PROGRAM - RESEARCH AND PROMOTION OF REFORMS

***The goal of the program is to hold public discussions on, and evaluations of, State policy relevant to the wider society, and promote consideration of the role of various sections of the public in the decision making process.***

Research, analysis and the implementation of interested advocacy campaigns is the corner stone of the CSRDG approach. It is implemented by our experts, as well as other highly qualified specialists. The research and reforms promotion program involves not only research activity about specific issues, but also ensuring their public discussion by means of CSRDG regular publications, the organisation of stakeholder meetings and seminars. Expert recommendations about each topic are then submitted to the relevant bodies. In addition, monitoring of their implementation and media coverage of the results achieved also take place.

In 2012, as a result of the comprehensive analysis of the environment, several priority areas were selected for the program, namely: economic and social policy; environment pollution and environment protection rights; government decentralisation reform and consumer rights. This list of issues was selected based on the criteria on their relevance, importance, and the availability of appropriate experts. Finally, research was conducted on each of the identified issues and campaigns were then carried out.

**In terms of economic and social policy, the emphasis was on the following issues:**

- Social and healthcare programs being implemented in Georgia. In 2012, program experts continued an analysis of those programs developed by the Agency on Social Subsidies which are funded by the State

სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიერ შემუშავებული იმ პროგრამების ანალიზი, რომლებსაც სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტებით (იგულისხმება ცენტრის სამიზნე მუნიციპალიტეტების – ოზურგეთი, ჩოხატაური, ლაგოდეხი, სიღნაღი, თელავი — ბიუჯეტები) გათვალისწინებული სოციალური პროგრამები. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მონიტორინგის სამი მნიშვნელოვანი მიმართულება:

*- სახელმწიფოს მიერ ბოლო ორ წელიწადში სოციალურ პროგრამებზე გამოყოფილი თანხების ანალიზი;*
*- თითოეულ პროგრამაზე სრული ინფორმაციის შეგროვება, კერძოდ: დაფინანსების მოცულობა, სამიზნე ჯგუფები, დახმარების მოცულობა, მიზნები, ამოცანები, სპეციფიკური საქმიანობა, განმახორციელებელი სააგენტო, პროგრამის მონიტორინგის შედეგები, განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები;*
*- ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამების დოკუმენტების დეტალური ანალიზი და სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის, აღნიშნული სტატუსის განმსაზღვრელი ქულების მინიჭების მეთოდოლოგიის შესწავლა.*

სამიზნე მუნციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტებით გათვალისწინებული სოციალური პროგრამების დოკუმენტური და საველე მონიტორინგის შედეგები იხილეთ ??? გვერდზე.

საქართველოში მოქმედი სოციალური და ჯანდაცვითი პროგრამების კვლევის მიზანს წარმოადგენდა ამ მიმართულებით მოქმედი პროგრამების მიმოხილვა და მონიტორინგი. კვლევაში ასახულია 2010-2011 წლებში მოქმედი სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაცია: დაფინანსების მოცულობა; ბენეფიციარები; პროგრამაში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი და პროცედურები; პროგრამის განვითარების დინამიკა წლების მიხედვით.

ყველაზე მაღალბიუჯეტიან სოციალურ პროგრამას, საპენსიო უზრუნველყოფის შემდეგ, წარმოადგენს „სოციალური დახმარება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის“. კვლევის ფარგლებში დეტალურად იქნა განხილული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების შეფასების მეთოდოლო-

budget as well as social programs identified in the local budgets (i.e. budgets of the target municipalities - Ozurgeti, Chokhatauri, Lagodekhi, Sighnaghi and Telavi). The analysis identified three important monitoring areas:

- *An analysis of the funds allocated by the State for social programs over the last two years;*
- *The collection of detailed information on each program, such as: the level of funding, target groups, the volume of assistance, goals, objectives, specific activities, the implementing agency and program monitoring results;*
- *A detailed documentary analysis of health insurance programs and studying the methods of giving someone the status of a 'socially unprotected person'.*

Results of the Documentary and Field Monitoring of the Social Programs included in the Local Budgets of the Target Municipalities are given on page 13.

After pensions, 'Social Assistance to Households Below the Poverty Threshold' is the social program with the highest budget. In the CSRDG study, the methods for identifying households below the poverty line (including mathematical methods) were reviewed in detail, and the limitations of the evaluation methodology were identified. These could become reasons for socially vulnerable households not being included in this program. The following drawbacks were identified in the methodology for identifying households below the poverty line: a very low level of transparency in the assessment; a high level of the interviewer bias in the overall evaluation, with a very high possibility for subjective assessment and, in the scoring process, an over-estimation of household the possessions; etc.

- 2012 was the year of Parliamentary elections, so the voters were able to become familiar with the election programs of the political parties. Unlike previous elections, several



გია (მათ შორის მათემატიკური მეთოდები) და დადგინდა შეფასების მეთოდოლოგიის ხარვეზები, რომელთა შედეგად, შესაძლებელია, სოციალურად დაუცველი ოჯახი ვერ მოხვდეს აღნიშნულ პროგრამაში. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების შეფასების მეთოდოლოგიაში გამოვლენილი ხარვეზები გახლდათ: მეთოდის გამჭვირვალობის ძალიან დაბალი ხარისხი; საერთო შეფასებაში ინტერვიუერის კოეფიციენტის მაღალი წონა, რაც სუბიექტური შეფასების შესაძლებლობის ძალიან მაღალ ხარისხს იძლევა; ქულების მინიჭების დროს ოჯახის საკუთრებაში არსებული ნივთების გადაჭარბებული შეფასება და სხვ.

- 2012 წელი გახლდათ საპარლამენტო არჩევნების წელი, ამიტომ ამომრჩეველს შესაძლებლობა მიეცა, გასცნობოდა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებს. წინა არჩევნებისგან განსხვავებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მართლაც რამდენიმე პოლიტიკური პარტიის პროგრამა დაიდო, ამიტომ პროგრამის ექსპერტებმა გააანალიზეს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები და ჩაატარეს მათი შედარებითი ანალიზიც. აქცენტი გაკეთდა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებზე, კერძოდ, ესენია: ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობა, ბიზნესის გარემო.

- საბიუჯეტო პოლიტიკა საქართველოში: პრობლემები და ტენდენციები – კვლევაში განხილულია საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში არსებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ხარვეზები. კერძოდ, გაანალიზებულია: 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, ფისკალური დეცენტრალიზაციის პრობლემატიკა, საბიუჯეტო ფონდების ბუნდოვანება, სახელმწიფო ვალის სიმძიმე და ვალის მართვა, ახალი საგადასახადო კოდექსი და სახელმწიფო ბიუჯეტი, ბიუჯეტის გამჭვირვალობა და პროგრამული ბიუჯეტირება.

- ეკონომიკური მიმოხილვა (2010 წელი). უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ძვრები განხორციელდა, რამაც ფაქტობრივად შეცვალა ქვეყნის

political parties did present their election programs in 2012. Program experts analysed them and ran a comparative analysis. An emphasis was placed on social-economic issues, in particular: healthcare and social provision, agriculture, and business environment.

- Budgetary policy in Georgia: problems and trends - this study reviews legislative and institutional limitations in the Georgian budgetary system. In particular, the following issues were analysed: 2011 State budget, fiscal decentralisation problems, the vagueness of the budgetary fund, the burden of State debt and debt management, the new Tax Code and the State budget, budget transparency and program budgeting.

- Economic overview (2010). Over the past several years, important changes have taken place in the Georgian economy, changing the social-economic development route of the country and, bringing new challenges, as well as risks. Widescale economic reforms started in Georgia in 2004, resulting in important changes in the country's economy. The study presents a review of the social-economic situation in Georgia between 2004-2010, focusing on the main direction of social-economic development: gross domestic product; inflation; direct foreign investments; foreign trade; employment; salaries; and Georgia in international ratings.

- Analysis of the Georgian 2012 State Budget. This study provides a comparative analysis of all budgetary parameters in comparison with the previous year's data, as well as offering expert evaluations and conclusions.

Any interested person can access full versions of the studies on the CSRDG website www.csrdg.ge.

სოციალურ-ეკო¬ნომიკური განვითარების ვექტორი და ქვეყანა ახალი გამოწვევებისა და ამავე დროს ახალი საფრთხეების წინაშე დააყენა. საქართველოში ფართომასშტაბიანი ეკონომიკური რეფორ¬მები 2004 წლიდან დაიწყო, რამაც ქვეყ¬ნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. კვლევაში მოცემულია 2004-2010 წლებში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდ¬გომარეობის ამსახველი მიმოხილვითი ანალიზი, რო¬მელიც კონცენტრირებულია ქვეყნის სოციალურ-ეკო¬ნომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებზე: მთლიანი შიდა პროდუქტი; ინფლაცია; პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; საგარეო ვაჭრობა; დასაქმება და ხელფასები; საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში.

- **საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზი.** კვლევა მოიცავს ბიუჯეტის ყველა პარამეტრის შედარებით ანალიზს წინა წლის მაჩვენებლებთან, ასევე ექსპერტულ შეფასებებსა და დასკვნებს.

დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს კვლევების სრულ ვერსიას „ცენტრის“ ვებგვერდზე www.csrdg.ge.

2012 წელს ჩატარებული ყველა კვლევა მოიცავს კონკრეტულ დასკვნებსა და წინადადებებს. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების აქტუალიზაცია კამპანიურ ხასიათს ატარებდა, რაც გულისხმობდა საკითხის ირგვლივ საჯარო განხილვებისა და სემინარების მოწყობას, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას და მიწოდებას, ასევე მასმედიის საშუალებებში საკითხების ფართოდ გაშუქების სტიმულირებას.

**2012 წელს ცენტრის ექსპერტების მიერ საჯარო დაწესებულებებისთვის მიწოდებული რეკომენდაციების 50% გათვალისწინებულია. კერძოდ: დაიხვეწა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის იდენტიფიცირების მექანიზმი; შეიქმნა ანტიმონოპოლიურ რეგულირებასთან დაკავშირებული კანონპროექტი, რომელიც პარლამენტში შევიდა განსახილველად; რეგიონებში სამიზნე ჯგუფებისთვის**

All the studies conducted in 2012 provide specific conclusions and recommendations. Implementing action on the above issues was through campaigns, holding public discussions and seminars about the issues, the development of recommendations and submission to the appropriate State agencies and stimulating wide coverage of the issues in the media.

**50% OF THE RECOMMENDATIONS PROVIDED BY CSRDG EXPERTS TO PUBLIC AGENCIES HAVE BEEN TAKEN INTO ACCOUNT. IN PARTICULAR: THE MECHANISMS FOR THE IDENTIFICATION OF SOCIALLY UNPROTECTED PERSONS HAVE BEEN IMPROVED; A DRAFT PROJECT ON ANTI-MONOPOLY REGULATIONS HAS BEEN PREPARED AND WILL BE SUBMITTED TO THE PARLIAMENT FOR THE REVIEW. INFORMATION ABOUT ONGOING SOCIAL PROGRAMS HAS BECOME MORE ACCESSIBLE TO TARGET GROUPS IN THE REGIONS AND ACCESS TO SERVICES PROVIDED BY THESE PROGRAMS HAS BECOME MUCH SIMPLER.**

### Environment Pollution and Environmental Rights

In 2012, CSRDG was one of the co-coordinators of the 3rd work group of the Eastern Partnership Civil Forum National Platform. Organised by CSRDG, the group prepared an action plan and several projects. A successful advocacy campaign against amendments to be made to the environment protection legislation was also carried out. This amendment gave the Government an option to exempt business operators from their environmental responsibilities in exchange for certain amounts of money. Namely, the group prepared a letter of protest, supported by the National Platform of the Civil Forum, and, on its behalf, this was sent to the EU, accredited embassies in Georgia, and international organisations. Protest events were



**ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია მიმდინარე სოციალურ პროგრამებზე და მათთვის ბევრად გაიოლებულია აღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობა.**

### გარემოს დაბინძურების და გარემოსდაცვითი უფლებების სფერო

2012 წელს „ცენტრი“ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო ფორუმის ეროვნული პლატფორმის მე-3 სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი თანაკოორდინატორი იყო. მისი ორგანიზებით ჯგუფმა მოამზადა სამოქმედო გეგმა, რამდენიმე პროექტი. აგრეთვე განხორციელდა წარმატებული ადვოკატირების კამპანია გარემოსდაცვით კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების წინააღმდეგ, რომლითაც მთავრობას, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ბიზნესოპერატორების გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების შესაძლებლობა მიეცა. კერძოდ, ჯგუფის მიერ მომზადდა საპროტესტო წერილი, რომელმაც სამოქალაქო ფორუმის ეროვნული პლატფორმის მხარდაჭერა მიიღო და მისი სახელით გაეგზავნა ევროკავშირს, საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს. დაიგეგმა საპროტესტო აქციები კონკრეტული მეწარმეების მიმართ, რომელთაც ამ კანონით მინიჭებული შესაძლებლობები გამოიყენეს (მადნეული და კვარციტი). თუმცა ეს აქტივობები საჭირო აღარ გახდა - მთავრობის შეცვლის შემდგომ გარემოს დაცვის ახალმა მინისტრმა, უპირველესად, სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების ეს პროტესტი დააკმაყოფილა და გაუქმდა კანონის შესაბამისი ცვლილებები.

### მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფერო

2012 წელს პროგრამის ექსპერტები მუშაობდნენ, ერთი მხრივ, საქართველოს კანონმდებლობაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ადეკვატურად ასახვის ხელშეწყობის მიმართულებით, ხოლო, მეორე მხრივ, მიმდინარეობდა მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათზე რეაგირება.

planned against specific businessmen (Madneuli and Kvartsiti) that had used this option provided by this amendment. However, these activities became unnecessary after the change of the Government. The new Minister of the Environment, after being satisfied that this protest was undertaken by non-governmental organisations, annulled amendments to the legislation.

### Customer Rights Protection

In 2012, program experts were working both on the promotion of adequately expressed customer rights in Georgian legislation as well as identifying, and responding to, specific cases of customer rights violations.

It should be noted that, in 2012, through the efforts from CSRDG experts, certain changes were made to the decree (issued by the Government) on food control and the “Code on Food/Animal Safety, Veterinary and Plants Protection”.

In particular, due to the amendments made to the decree, the National Agency for Food Safety has the right to inspect a food producer or a store without court authorisation (before the amendment, this was impossible to do without court authorisation). Due to this amendment it has become possible for the National Agency for Food Safety to carry out unannounced inspections of a producer or store based on a customer complaint (an action - also impossible previously). However, the complaint should be accompanied by a doctor’s statement on the effect of the complaint (e.g. food poisoning) on the customer or a lab test result on harmfulness of a product.

In addition, the Government considered recommendations developed by CSRDG and several other civil society organisations relating to changes that needed to be made to the

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს, „ცენტრის“ ექსპერტების ძალისხმევით, გარკვეული ცვლილებები შევიდა სურსათის კონტროლთან დაკავშირებით მიღებულ სამთავრობო დადგენილებაში და „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში“.(ჩარჩოში)

კერძოდ, დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, სურსათის უსაფრთხოების ეროვნულ სააგენტოს უფლება აქვს, სასამართლოს დადგენილების გარეშე შეამოწმოს სურსათის მწარმოებელი ან მაღაზია (ცვლილებების შეტანამდე ზემოხსენებული შეუძლებელი იყო სასამართლოს დადგენილების გარეშე). კანონპროექტში შეტანილი ცვლილებების შედეგად კი შესაძლებელი გახდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სურსათის მწარმოებელი ან გამყიდველი მეწარმის არაგეგმური შემოწმება მომხმარებლის საჩივრის საფუძველზე (რაც ადრე შეუძლებელი იყო). თუმცა ამ საჩივარს თან უნდა ახლდეს ექიმის ცნობა მომხმარებლის მოწამვლისა და ლაბორატორიული დასკვნა სურსათის მავნეობის შესახებ.

გარდა ამისა, მთავრობამ გაითვალისწინა ,,ცენტრის” და რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ ერთობლივად შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდებოდა „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის” კანონპროექტში შესატან ცვლილებებს. კერძოდ, მოთხოვნა, რომ სურსათის უვნებლობის სააგენტოს დაეკისროს დროული და ადეკვატური რეაგირება მომხმარებელთა სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ საჩივრებზე, რაც გულისხმობს შესაბამისი მაღაზიების ან მწარმოებლების შემოწმებას. მთავრობამ, მართლაც, შეიტანა გარკვეული ცვლილებები ზემოხსენებულ კანონში, თუმცა ცვლილებების თანმდევი ზოგიერთი მოთხოვნა რთული შესასრულებელია. გარდა ამისა, კოდექსი ზედმიწევნით იცავს მწარმოებელის კონფიდენციალობას, რითაც არღვევს მომხმარებლის უფლებას, მიიღოს ინფორმაცია სურსათის უვნებლობის დარღვევის შემთხვევებზე. ,,ცენტრის” ინიციატივით აგრარულ საკითხთა კომიტეტში ჩატარდა მოსმენები ინფორმაციის გამჭვირვალობის თემაზე და სურსათის უვნებლობის სამსახურმა მიიღო მითითება, თავი შეეკავებინა ძირითადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევისგან და უზრუნველეყო

draft law on Food/ Animal Food Safety, Veterinary and Plant Protection. Namely, this refers to a request that the National Agency for Food Safety be authorised to make a timely and adequate response to customers' complaints regarding food safety and inspecting stores or producers. The Government did make certain amendments to the above law. However, some of the requirements resulted from the amendments are difficult to implement. Furthermore, the Code protects the confidentiality of the producer, thus violating the customer's right to information regarding cases of food safety violations. Based on this CSRDG initiative, the Committee of Agrarian Issues of the Parliament of Georgia held hearings on transparency, and the Food Safety Agency was given directives to refrain from violating the main Administrative Code and to ensure access to public information for civil society organisations. As a result, CSRDG regularly received information from this agency on the violations, lab test results and the fines imposed.

Unfortunately, in 2011, the Government submitted a package of laws to the Parliament, and as a result, the law on customer protection was annulled in 2012. In the 'Code for Product Safety and Free Circulation', which was adopted instead, only some customer rights were considered. As a result, customer rights in Georgia have been seriously restricted. In order to discuss and resolve this problem, CSRDG experts had a meeting with several heads of committees from the newly elected authorities. As a result, the process of working on a new law started under the leadership of the Parliamentary Committee on Euro-Integration, and CSRDG was actively involved in the process.

In 2012, a CSRDG expert regularly participated in discussions organised by the Eurasia Partnership Foundation, dedicated to legislative regulations on food safety.



საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. შედეგად ცენტრი რეგულარულად იღებდა ხსენებული უწყებისგან ინფორმაციას დარღვევებზე, ლაბორატორიული კვლევების შედეგებზე, დაწესებულ ჯარიმებზე და ა.შ.

სამწუხაროდ, 2011 წელს მთავრობამ პარლამენტში შეიტანა კანონების პაკეტი, რომლითაც 2012 წელს მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონი გაუქმდა. მის ნაცვლად მიღებული „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ მომხმარებელთა უფლებების მხოლოდ ნაწილი იქნა გათვალისწინებული, რის შედეგადაც მომხმარებელთა უფლებები საქართველოში სერიოზულად შეიზღუდა. ხსენებული პრობლემის განხილვისა და მოგვარების მიზნით “ცენტრის” ექსპერტები შეხვდნენ ახლად არჩეული მთავრობის რამდენიმე კომიტეტის ხელმძღვანელს. შედეგად პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის ხელმძღვანელობით დაიწყო ახალი კანონის შემუშავების პროცესი, რომელშიც ცენტრი” აქტიურად იყო ჩართული.

2012 წელს ,,ცენტრის” ექსპერტი რეგულარულად მონაწილეობდა ,,ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის” მიერ ორგანიზებულ დისკუსიებში, რომლებიც მიეძღვნა სურსათის უვნებლობის საკანონმდებლო რეგულირების საკითხებს.

**,,ცენტრმა” 2012 წელს გააგრძელა მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, ბიზნესკომპანიებისგან და სურსათის ეროვნული სააგენტოსგან ღია წერილებით მათი აღმოფხვრის მოთხოვნა. ამ საქმიანობის შედეგად გამოვლენილი დარღვევების 1/3-ზე მეტი გამოსწორდა.**

მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენის მიზნით კვლავ ფუნქციონირებდა სურსათის ცხელი ხაზი, რომელზეც მოქალაქეებს შეეძლოთ თავიანთი საჩივრების მიწოდება. გარდა ამისა, საჩივრების გაგზავნა შესაძლებელი იყო ფეისბუკის სპეციალურ გვერდზე და თემატურ ვებპორტალზე www.momxmarebeli.ge . შემოსულ საჩივარს ამოწმებდნენ შემდეგი სცენარით: ცენტრის წარმომადგენელი სურსათის ექსპერტთან ერთად მომხმარებლის მიერ მითითებულ მაღაზიაში ყიდულობდა მომხ-

**IN 2012, CSRDG CONTINUED HIGHLIGHTING CUSTOMER RIGHTS VIOLATIONS, AND REQUESTING THEIR ELIMINATION BY SENDING OPEN LETTERS TO THE RESPECTIVE BUSINESS/COMPANIES AND THE NATIONAL AGENCY ON FOOD SAFETY. AS A RESULT OF THESE ACTIVITIES, MORE THAN ONE THIRD OF THE VIOLATIONS IDENTIFIED HAVE BEEN CORRECTED.**

To identify customer rights violations, the food safety hotline continued operating, where citizens could submit their complaints. In addition, complains could be sent to a special Facebook page and to the thematic web-portal www.momxmarebeli.ge . The complaints received were verified in the following way: an expert purchased the product identified by the customer in the indicated store. It was then tested, based on the nature of the complaint, in various accredited laboratories. The inspection was carried out both in terms of product safety and labelling violations. All results were published in articles on the above website and disseminated by the Facebook page. Written information on the violations found were sent to the producer (in some cases, those were stores, and in others, producers) and the National Agency for Food Safety. In cases where the producer or the store disagreed with results of the inspection undertaken by CSRDG they were able to publish their information on the same website to prove otherwise.

As a result of CSRDG's activities, about 100 products were tested in 2012: in 50 products, safety regulations had been violated, and labelling violations were also revealed for about 20 products. 10 violations were corrected by a new inspection conducted by CSRDG, the National Agency for Food Inspection, or through information received from the producer and verified by CSRDG.

მარებლის მიერ მითითებულ პროდუქტს, რომელიც მოწმდებოდა საჩივრიდან გამომდინარე შერჩეული პარამეტრების მიხედვით, სხვადასხვა აკრედიტებულ ლაბორატორიაში. შემოწმებები მოიცავდა როგორც პროდუქტის უვნებლობისა და ხარისხის პარამეტრებს, ასევე ეტიკეტირების ნორმების დარღვევებს. ყველა მიღებული შედეგი ახალი სტატიის სახით ქვეყნდებოდა ზემოხსენებულ ვებპორტალზე და ვრცელდებოდა ფეისბუკის შესაბამის გვერდზე. გამოვლენილი დარღვევების შესახებ წერილობითი ინფორმაცია მიეწოდებოდა მეწარმეს (ზოგჯერ ეს იყო გამყიდველი მაღაზია, ზოგჯერ კი - მწარმოებელი) და სურსათის ეროვნულ სააგენტოს. იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებელი ან მაღაზია არ ეთანხმებოდნენ ცენტრის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგებს, მათ შესაძლებლობა ჰქონდათ იმავე ვებპორტალზე გამოექვეყნებინათ საწინააღმდეგო მტკიცების დამადასტურებელი ინფორმაცია.

ცენტრის საქმიანობის შედეგად 2012 წელს შემოწმდა 100-მდე სახეობის პროდუქტი: 50 სახეობაში დარღვეული აღმოჩნდა უვნებლობის პარამეტრები, ხოლო 20-მდე სახეობაზე კი - ეტიკეტის მოთხოვნის დარღვევა. 10 დარღვევა გამოსწორდა, რაც დადასტურდა ცენტრის მიერ ხელახალი შემოწმებისას, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული შემოწმებისას ან მეწარმის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან, რომელიც გადამოწმდა ცენტრის მიერ.

*Below are some of the examples of the violations revealed by CSRDG and corrected by the producers:*

1. THE ADVERT PLACED ON THE DOOR OF A STORE. A PACKAGE OF SUGAR WITHOUT THE WEIGHT MARK ON IT WAS SOLD THERE, WHICH WAS MISLEADING THE CUSTOMERS. THE VIOLATION WAS DISCUSSED, LETTERS WERE SENT TO THE STORE OWNER AND SUGAR PRODUCER AND A REQUEST FOR A RESPONSE WAS SENT TO THE NATIONAL AGENCY OF FOOD. AFTER THIS, THE STORE REMOVED THE CONFUSING ADVERT AND THE SUGAR PRODUCER ADDED WEIGH MARKINGS ON THE PACKAGING;
2. THE LABEL ON DIABETIC BREAD DID NOT STATE THE INGREDIENTS. AFTER RECEIVING OUR LETTER, THE PRODUCER CHANGED THE PRODUCT LABEL;
3. WHITE BREAD "BATONI" MADE BY IFKLI LTD. WAS TESTED, REVEALING POTATO DISEASE. AFTER PUBLISHING THIS INFORMATION, THE PRODUCER REQUESTED TO PURCHASE THE PRODUCT JOINTLY. JOINT PURCHASE WAS DONE ON AUGUST 22, 2012 AND THIS TIME THE BREAD WAS UNCONTAMINATED;
4. VANILLA AND CHOCOLATE ICE-CREAM BY TOLIA IN WAFFLE CUPS: COLIFORMS WERE FOUND IN BOTH TYPES OF ICE-CREAM MADE BY CARTU UNIVERSAL, LTD. FOR THE NEXT INSPECTION (ICE-CREAM IN PLASTIC BOXES AND NOT IN WAFFLE CUPS WERE TESTED) UNDERTAKEN ON JULY 27, 2012, THE MICRO-BIOLOGICAL INDICATORS OF THE PRODUCT CORRESPONDED TO THE ESTABLISHED NORMS;
5. BREAD SPIRAL, SO CALLED "LOTKINI" BREAD - THE TEST REVEALED THE PRESENCE OF POTATO DISEASE IN BREAD. AT THE PRODUCER'S REQUEST, A JOINT PURCHASE WAS DONE. THIS TIME, THE PURCHASED BREAD WAS UNCONTAMINATED;
6. SMOKED MACKEREL IN VACUUM PACKAGING - IN NIKORA CHAIN STORE WE PURCHASED SMOKED FISH MADE BY NIKORA TRADE. CONTAMINATION WITH ESCHERICHIA COLI WAS REVEALED. AFTER NOTIFYING THE MANUFACTURER, THE PRODUCT WAS NO LONGER AVAILABLE IN THE STORE FOR A REPEAT TEST.
7. MICROBIOLOGICAL CONTAMINATION WAS FOUND IN GROUNDED MEAT AND TROUT FILLET PURCHASED IN SUPERMARKET SMARTI. ACCORDING TO THE INFORMATION RECEIVED FROM THE AGENCY, THE INSPECTION MADE BY THEM REVEALED NO FURTHER VIOLATION.




*ცენტრის საქმიანობის შედეგად გამოვლენილი და მეწარმის მიერ გამოსწორებული დარღვევების ზოგიერთი მაგალითები:*

1. მაღაზიის კარებზე გაკრულ რეკლამას და გასაყიდად შეფუთული შაქრის ეტიკეტზე წონის მითითების არარსებობას შეცდომაში შეჰყავდა მომხმარებელი. დარღვევა გაშუქდა, მაღაზიასა და შაქრის მეწარმეს გაეგზავნა წერილები, აგრეთვე სურსათის ეროვნულ სააგენტოში გაიგზავნა რეაგირების თხოვნა. მითითების შემდეგ მაღაზიამ მოხსნა დამაბნეველი რეკლამა, შაქრის მწარმოებელმა კი წონა აღნიშნა პროდუქტის შეფუთვაზე;
2. დიაბეტური პურის ეტიკეტზე არ იყო მითითებული შემადგენლობა. ჩვენგან გაგზავნილი წერილის პასუხად მეწარმემ შეცვალა პროდუქტის ეტიკეტი;
3. პური თეთრი ბატონი: შემოწმდა შპს „იფქლის" წარმოებული პური - აღმოჩნდა კარტოფილის დაავადება. ამ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ მეწარმემ მოითხოვა მასთან ერთად ერთობლივი შესყიდვის განხორციელება. ერთობლივი შესყიდვა განხორციელდა 2012 წლის 22 აგვისტოს. პური ამჯერად სუფთა იყო;
4. თოლიას ვანილისა და შოკოლადის ნაყინი ვაფლის ჭიქაში: ორივე შპს „ქართუ უნივერსალის" მიერ წარმოებულ ნაყინში აღმოჩნდა კოლიფორმები. შემდეგი შემოწმებისას (შემოწმდა ნაყინი პლასტმასის შეფუთვაში და არა ვაფლის ჭიქაში), 2012 წლის 27 ივლისს, პროდუქტის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაში იყო;
5. პური სპირალი, ე.წ. „ლოტკინის" პური - შემოწმებამ პურში კარტოფილის დაავადება დაადგინა. მეწარმის მოთხოვნით განხორციელდა ერთობლივი შესყიდვა. პური ამჯერად სუფთა აღმოჩნდა;
6. შებოლილი სკუმბრია ვაკუუმ-

შეფუთვაში - შევისყიდეთ შპს „ნიკორა ტრეიდის'' წარმოებული შებოლილი თევზი „ნიკორას'' საფირმო მაღაზიაში. აღმოჩნდა კოლიბაქტერიებით დაბინძურება. მეწარმესთან გაგზავნილი წერილის შედეგ ხელახალი შემოწმებისას პროდუქტს აღარ ყიდდნენ;

7. „სმარტის" სუპერმარკეტში აღმოჩნდა მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული ფარში და კალმახის ფილე. სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მათ მიერ ჩატარებული შემოწმებისას დარღვევა აღარ გამოვლენილა;
8. შ.პ.ს. „ბოკოლას" მიერ წარმოებული ხორცის ბლინები აღმოჩნდა მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული. სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მათ მიერ ჩატარებული შემოწმებისას დარღვევა აღარ გამოავლენილა;
9. სხვადასხვა სუპერმარკეტში შეძენილი გაყინული ხინკალი, წარმოებული შ.პ.ს. „ვაკე"-სა და შ.პ.ს. "ნადიმი 1"-ის მიერ, აღმოჩნდა მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული. სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მათ მიერ ჩატარებული შემოწმებისას დარღვევა აღარ გამოვლენილა;
10. რუსთაველის ქუჩაზე განთავსებულ „მაკდონალდსში'' შეძენილი ბიგ-მაკი აღმოჩნდა მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული. მეწარმისგან მიღებული ინფორმაციით, მათ მთლიანად შეისწავლეს თავიანთი რესტორანი დარღვევის წყაროს გამოსავლენად. სააგენტოს მიერ განხორციელებული შემოწმებისას დარღვევა აღარ აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ „ცენტრის" მიერ შექმნილი ვებპორტალი www.momxmarebeli.ge მომხმარებელთა დიდი ინტერესით სარგებლობს, რადგან მნიშვნელვანი საგანმანათლებლო-ინფორმაციული დატვირთვა აქვს. პორტალზე განთავსებულია ინფორმაცია მომხმარებელთათვის აქტუალურ სხვადასხვა თემაზე, კერძოდ: როგორ აირჩიონ სასურსათო პროდუქტი; როგორ მოიქცნენ,

8. MEAT ROLLS MADE BY BOKOLA LTD WERE FOUND TO HAVE MICROBIOLOGICAL CONTAMINATION. BASED ON THE INFORMATION RECEIVED FROM THE AGENCY, THE INSPECTION MADE BY THEM REVEALED NO FURTHER VIOLATION;
9. FROZEN KHINKALI BY VAKE LTD. AND NADIMI1 LTD., PURCHASED IN VARIOUS SUPERMARKETS, REVEALED MICROBIOLOGICAL CONTAMINATION. ACCORDING TO THE INFORMATION RECEIVED FROM THE AGENCY, THE INSPECTION MADE BY THEM NO LONGER REVEALED A VIOLATION;
10. A BIG-MAC PURCHASED IN MCDONALD'S RESTAURANT IN RUSTAVELI AVENUE HAD MICROBIOLOGICAL CONTAMINATION. INFORMATION RECEIVED FROM THE MANUFACTURER STATED THAT THEY INSPECTED THE WHOLE RESTAURANT TO IDENTIFY THE SOURCE OF CONTAMINATION. THE INSPECTION CONDUCTED BY THE AGENCY NO LONGER REVEALED A VIOLATION.

It should be noted that the web-portal created by CSRDG - www.momxmarebeli.ge - is regarded by the users as very useful, due to its important educational nature and quality of information. The portal presents information on various topics of interest to customers, in particular: how to select food products; what to do if an inadequate product is purchased; what is the store required to do in response; what requirements are there for food products; what normative acts regulate certain areas of food hygiene etc. In addition, web-portal users can exchange information about service quality or injustice they have encountered in various fields. Further, using the Facebook page or the phone, customers can send question or requests for consultations, and receive feedback from a CSRDG consultant.



თუ ნაკლის მქონე პროდუქტი შეიძინეს; რა მოეთხოვება მაღაზიას; რა მოთხოვნები არის დაწესებული სურსათისთვის; რა ნორმატიული აქტები არეგულირებს ამა თუ იმ სამომხმარებლო სფეროს. გარდა ამისა, ვებპორტალის მომხმარებლებს საშუალება აქვთ ერთმანეთში გაცვალონ ინფორმაცია სხვადასხვა სამომხმარებლო სფეროში არსებულ მომსახურების ხარისხზე ან უსამართლობაზე, რასაც ისინი წააწყდნენ. გარდა ამისა, ფეისბუქის გვერდზე და ტელეფონით მომხმარებელებს შეუძლია კითხვით ან კონსულტაციის მიღების თხოვნით მიმართოს „ცენტრის" სურსათის ექსპერტ-კონსულტანტს და მისგან პასუხის მიიღოს.

ცენტრის მიერ 2012 წელს დაინერგა მომხარებელთა ინფორმირების კიდევ ერთი საინტერესო ინსტრუმენტი ე.წ „ქუჩის პრეზენტაციები", რომლებიც სურსათის უვნებლობის საკითხებს მოიცავს. მათ ატარებენ შესაბამისი პროფილის სტუდენტები. სტუდენტები დასვენების დღეებში თბილისის ხალხმრავალ ადგილებში აწყობენ გამვლელებისათვის პრეზენტაციებს სახელწოდებით „იცოდე, რას ჭამ", რომლის დროსაც პასუხობენ მომხარებლების შეკითხვებს სხვადახვა პროდუქტის შერჩევისა თუ შენახვის შესახებ. პრეზენტაციების დროს რიგდება ბროშურა „დავიცვათ ერთმანეთი უხარისხო პროდუქტისაგან". 2012 წელს მოეწყო ორი ასეთი პრეზენტაცია მეტრო ახმეტელის მ/ტ ზე და ვაკის პარკში. პრეზენტაციებმა დიდი მოწონება დაიმსახურა მომხმარებლებში და გაგრძელდება 2013 წელსაც.

### აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა

Another interesting method of informing the customers was introduced by CSRDG in 2012 - the so called "street presentations", addressing food safety issues and conducted by students. On holidays, the students hold "Know what you are eating" presentations for passers-by in crowded areas of Tbilisi. During these sessions they answer customer questions about the selection and storage of various food products. The brochure "Keep each other from low quality products" is disseminated during the presentations. Two such presentations were held in 2012 in Akhmeteli Subway area and Vake Park. The presentations were appreciated by customers and will be continued in 2013.

### The Promotion of Citizen Participation in Local Self-Government in the Eastern Partnership Countries

In 2012, the Centre for Strategic Research and Development of Georgia, with financial support from the Ministry of Foreign Affairs of the Czech Republic, implemented a project - 'The Promotion of Citizen Participation

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა" 2012 წელს, ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა", რომლის მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ადგილობრივი დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა, აღნიშნული ქვეყნების შესაბამისი კანონმდებლობების შემდგომი განვითარებისა და პარაქტიკული გამოყენების მდგომარეობის გაუმჯობესების გზით.

**პროექტის ფარგლებში განხორციელდა კვლევა და მომზადდა ანგარიში, რომელიც ეხება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს ადგილობრივი მმართველობის პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის მიმართულებით.**

***კვლევის მიზანი იყო:***

- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გამო არსებული პრობლემების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- ამ ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის საუკეთესო გამოცდილების გამოვლენა და კარგი მაგალითების აღწერა.

პროექტში ჩართულმა ექსპერტებმა გააანალიზეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესაბამისი კანონმდებლობა და მისი პრაქტიკული განხორციელების მდგომარეობა ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებზე დაყრდნობით, როგორებიცაა: „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის დამატებითი პროტოკოლი ადგილობივ ხელისუფლებაში მონაწილეობის უფლების შესახებ", „ადგილობრივ დონეზე ინოვაციისა და კარგი მმართველობის სტრატეგია", „კოდექსი მოქალაქეთა მონაწილეობის დადებითი პრაქტიკების შესახებ".

in the Local Self-Government in the Eastern Partnership States', aimed at strengthening the local democratic institutions and ensuring citizen participation in the local decision making processes in the Eastern Partnership states, by further developing the respective legislation in participating countries and improving the situation about their practical usage.

A study was carried out by the project, and a report was prepared, concerning the existing challenges and needs in the area of citizen participation in the decision making processes in the Eastern Partnership States.

***The goals of the study were to:***

- Reveal the problems in citizens particip**ation in the local self-governance processes of the Eastern Partnership States, and to develop appropriate recommendations;**
- **Identify best practices in citizens' participation in the local self-governance processes in these countries and present successful case studies.**

The experts involved in the project analysed relevant legislation in the Eastern Partnership States, and the existing situation with respect to their practical implementation. The following international documents were used: The European Charter of Local Self-Governments; Additional Protocol to the European Charter of Local Self-Government on the Right to Participate in the Affairs of a Local Authority; The Strategy for Innovation and Good Governance at Local Level; The Code for Good Practice for Civil Participation.

Using specially designed questionnaires, officials of local government and representatives of civil society organisations in the Eastern Partnership States were surveyed. The following issues were evaluated: 1. existing legislation with respect to the citizens' participation, and 2.



სპეციალურად შემუშავებული კითხვარების მეშვეობით გამოკითხული იყვნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირები და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები. აღნიშნული კითხვარებით შეფასდა: 1. მოქალაქეთა თანამონაწილეობის შესახებ არსებული კანონმდებლობა და 2. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ადგილობრივი მმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხი. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეჯამდა ძირითადი მიგნებები და შემუშავდა რეკომენდაციები.

**ანგარიში - „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში" - მომზადდა ინგლისურ და რუსულ ენაზე.**

ზემოთ აღწერილი კვლევის რუსული და ინგლისური ვერსიები ხელმისაწვდომია „ცენტრის" ვებგვერდზე წწწ.ცსრდგ.გე, გარდა ამისა, ატვირთულია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფორუმის ვებგვერდზე საჯარო მმართველობის რეფორმის ქვეჯგუფის რესურსებში (იხ. ბმული http://www.eap-csf.eu/en/working-groups/wg1-democracy-human-rights/resources/citizens-participation-in-local-self-governance-in-the-eastern-partnership-countries/).

ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობდა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფორუმის საჯარო მმართველობის რეფორმის ქვეჯგუფის 6 წევრი ორგანიზაცია, ესენია: „ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერის ცენტრი" (აზერბაიჯანი); „თემთა ფინანსურ ოფიცერთა ასოციაცია" (სომხეთი); „ფონდი კრეატივის ცენტრი" (უკრაინა); „ურბანული განვითარების ინსტიტუტი" (მოლდოვა); „ლევ საფიეჰას ფონდი" (ბელორუსი); „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი" (საქართველო).

2012 წლის ნოემბერში „ცენტრი" მონაწილეობდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფორუმის მე-4 შეხვედრაში, რომლის სესიების მსვლელობაში წარდგენილი და განხილული იყო საჯარო მმართველობის რეფორმის ქვეჯგუფის 6 წევრი ორგანიზაციის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიმართულებით შემუშავებული რეკომენდაციები.

the level of civil participation in the local self-governance in the Eastern Partnership States. The main findings and recommendations were developed based on the results of the collected information.

**A report - Citizens Participation in the Local Self-Governance in the Eastern Partnership States - was prepared in English and in Russian.**

The Russian and English versions of the study report are available on the CSRDG website www.csrdg.ge, and it was also uploaded to the website of the Forum of Civil Society Organisations, in the Resources of the Public Governance Reform sub-section (see the link: http://www.eap-csf.eu/en/working-groups/wg1-democracy-human-rights/resources/citizens-participation-in-local-self-governance-in-the-eastern-partnership-countries/).

Six organisations of the CSF Public Administration Reform sub-working group (PAR SWG) participated in the report preparation. These were: The Center for Support for Economic Initiatives (Azerbaijan); Communities Finance Officers Association NGO (Armenia); Foundation CCC Creative Centre (Ukraine); Institute for Urban Development (Moldova); Lev Sapieha Foundation (Byelorussia); Centre for Strategic Research and Development of Georgia (Georgia).

In November 2012, CSRDG participated in the 4th meeting of the Forum of Civil Society Organisations of the Eastern Partnership States, where the recommendations developed by six member organisations of the Public Governance Reform sub-section for the Promotion of Citizens Participation in the Local Governance of the Eastern Partnership States were presented and discussed.

## პროგრამა — კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა

***პროგრამის მიზანია საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა.***

პროგრამის მიზნის მისაღწევად შემუშავებული სტრატეგია ითვალისწინებს:

ერთი მხრივ, მსხვილ ბიზნესკომპანიებთან მუშაობას, კერძოდ, სოციალური პასუხისმგებლობის არსის, განხორციელების ფორმებისა და ინსტრუმენტების შესახებ მათი ცნობიერების ამაღლებას, ამ საკითხებზე კონკრეტული ექსპერტიზის ხელმისაწვდომობის გაადვილებას და სოციალური პასუხისმგებლობის იდეის პოპულარიზაციას.

მეორე მხრივ, საზოგადოების სხვადასხვა სექტორის (საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მედია და სახელმწიფო სტრუქტურები) ცნობიერების ამაღლებას კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე, ქვეყნის განვითარებისთვის მისი მნიშვნელობის წარმოჩენას, დაინტერესებულ მხარეთა შორის დიალოგის წარმართვის ხელშეწყობას და ამ გზით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისთვის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებას.

### კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკა

პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა. 2011 წელს „ცენტრის“ ექსპერტმა დაასრულა მუშაობა საქართველოს მთავრობისთვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციების საბოლოო დოკუმენტის მომზადებაზე. აღნიშნული რეკომენდაციების საბოლოო ვერსია მომზადდა სხვადასხვა სექტორთან – ბიზნესკომპანიებთან, სამოქალაქო ორგანიზაციებთან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად. ამდენად, ამ რეკომენდაციებში შეჯერებულია მრავალი დაინტერესებული მხარის მოსაზრებები.

## PROGRAM - PROMOTION OF THE DEVELOPMENT OF CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY

***The goal of the program is to promote the introduction and development of corporate social responsibility in Georgia.***

The strategy developed to achieve the program goal involves the following:

- **work with large business companies, specifically, to raise their awareness on the concept, implementation forms and instruments of social responsibility, easing accessibility of specific expertise on these issues, and popularisation of the idea of social responsibility.**

- **raising awareness of various sectors of the society (civil society organisations, the media, and State agencies) on corporate social responsibility, em**phasising its importance for the country's development, assistance in dialogue between the stakeholders, and, by all of these means, the promotion of a favourable environment for the development of corporate social responsibility.

### State Policy for the Promotion of Corporate Social Responsibility

One of the important aspects of the program was to help develop State policy on the development of corporate social responsibility. In 2011, a CSRDG expert finished work on the final recommendations to the Government of Georgia on the State policy for the promotion of corporate social responsibility. The final version of these recommendations was prepared in consultation with various sectors - business companies, civil society organisations and representatives of academic institutions. Thus, the document combines the opinions of multiple stakeholders.



### მომზადებული ანალიტიკური კვლევა 2012 წელს გამოიცა ცალკე წიგნად „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და საჯარო სექტორის როლი (ანალიტიკური მიმოხილვა და რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას)”.

ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა და მისი დანერგვის შედეგები ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის; საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით გააანალიზოს მთავრობის როლი და შესაძლო ფუნქციები სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში; აგრეთვე საქართველოს კონტექსტის, ჩვენი პრობლემებისა და განვითარების მიზნების გათვალისწინებით საქართველოს ხელისუფლებას მიაწოდოს რეკომენდაციები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების თაობაზე.

ნაშრომი ეფუძნება ამ საკითხზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, პრაქტიკული კვლევებისა თუ გამოკითხვების შედეგებს, სხვადასხვა ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის ამსახველ დოკუმენტებს, აგრეთვე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებზე საქართველოში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების მონაცემებს.

ნაშრომს ერთვის რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის იმ ძირითადი მიმართულებებისა და კონკრეტული ინიციატივების შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შემდგომ დანერგვასა და განვითარებას.

### კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის პოპულარიზაცია

2012 წლის აპრილში ,,ცენტრმა” მოაწყო დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი -,,კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

### IN 2012, THIS ANALYTICAL STUDY WAS PUBLISHED AS A BOOK - CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY AND THE ROLE OF THE PUBLIC SECTOR (ANALYTICAL OVERVIEW AND RECOMMENDATIONS TO THE GOVERNMENT OF GEORGIA).

The objective of the book is to show the importance of corporate social responsibility and relevance of its implementation for the development of our country (based on international experience), an analysis the Government role and possible functions in the development of social responsibility. The book also considers the Georgian context, our problems and development goals, provides recommendations to the Government of Georgia on the elaboration and implementation of policies and strategies to promote corporate social responsibility.

The book is based on scientific literature in this field, practical research, results of surveys, documents describing respective State policies in various countries, as well as data from the sociological study conducted in Georgia on corporate social responsibility.

The book includes recommendations to the Government of Georgia on the main direction of policy and specific initiatives which will further assist the introduction and development of corporate social responsibility in Georgia.

### Popularisation of the Concept of Corporate Social Responsibility

In April 2012, CSRDG organised a stakeholder forum - Corporate Social Responsibility and the Role of the Public Sector.

The objective of the forum was to show the relevance of developing corporate social responsibility in Georgia, demonstrate the importance of respective State policies promoting it, and the engagement of the public sector, as well as starting a dialogue on these issues.

და საჯარო სექტორის როლი”.

ფორუმის მიზანი გახლდათ საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების მნიშვნელობის წარმოჩენა, აგრეთვე შესაბამისი ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკისა და საჯარო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობის დემონსტრირება და დიალოგის დაწყება ამ საკითხებზე.

ფორუმში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სექტორთა – ბიზნესკომპანიების, საერთაშორისო და სამოქალაქო ორგანიზაციების, ხელისუფლების -წარმომადგენლები, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები.

ფორუმის მსვლელობაში საუბარი იყო შემდეგ საკითხებზე:

- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და ქვეყნის განვითარებისათვის მისი მნიშვნელობა;
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების დადებითი შედეგები;
- საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების პერსპექტივები და ხელის შემშლელი ფაქტორები;
- საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის შესაძლო მიმართულებები და მთავრობის როლი.

Representatives of various sectors participated in the forum, including business companies, international and civil society organisations, Government representatives, and international and local experts.

During the forum, the following issues were addressed:

- Corporate social responsibility and its importance for the development of the country;
- Positive outcomes from the development of corporate social responsibility;
- The potential of, and factors impeding, the development of corporate social responsibility in Georgia;
- The possible direction of State policy to promote corporate social responsibility in Georgia, and the role of the Government in its development.

Representatives of Georgian and international business companies, diplomatic corpus, the Parliament of Georgia, as well as local and international experts made speeches and presentations at the forum.







ფორუმზე სიტყვით გამოვიდნენ და პრეზენტაციები წარმოადგინეს: ქართული და საერთაშორისო ბიზნესკომპანიების, დიპლომატიური კორპუსის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებმა, ასევე ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა.

ფართო საზოგადოებაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის პოპულარიზაციის მიზნით, „ცენტრის“ მიერ მომზადდა და წამყვან გაზეთებში გამოქვეყნდა სტატიების ციკლი კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე, ამავე თემას მიეძღვნა რამდენიმე რადიო გადაცემაც.

## აღმოსავლეთ ევროპის გამოცდილების გაზიარება კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაში

,,ცენტრი” მონაწილეობდა პროექტში ,,აღმოსავლეთ ევროპის გამოცდილების გაზიარება სოციალურ მეწარმეობასა და კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაში”, ფონდი ,,ღია საზოგადოება – საქართველო”-ს დაფინანსებით.

პროექტში მონაწილოებდნენ: ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, ბრიტანეთის საბჭო, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.

პირველ ეტაპზე ქართული ორგანიზაციების წარმომადგენლები ჩავიდნენ ჩეხეთსა და სლოვაკეთში სოციალურ პასუხ-

To popularize corporate social responsibility among the wider public, CSRDG prepared a series of articles on corporate social responsibility and published them in the leading newspapers. Several radio programs were also dedicated to this topic.

## Sharing the Experience of the Eastern Europe in Corporate Social Responsibility

CSRDG participated in the project ‘Sharing the Eastern European Experience in Social Enterprise and Corporate Social Responsibility’, which was funded by Open Society - Georgia.

The following organisations participated in the project: Eurasia Partnership Foundation; The British Council; Georgian-American University; Civil Society Institute, and Centre for Strategic Research and Development of Georgia.

Firstly, representatives of Georgian organisations visited the Czech Republic and Slovakia to share experiences in social responsibility and social enterprise issues. Secondly, Slovak experts visited Georgia in order to meet representatives of local non-governmental organisations and business companies, to share with them their experiences, and work more closely with the project partner organisations. The invited guests were experts from a Slovak Foun-

ისმგებლობასა და სოციალურ მეწარმეობაზე გამოცდილების გაზიარების მიზნით, ხოლო მეორე ეტაპზე – სლოვაკი ექსპერტები ესტუმრნენ საქართველოს, რათა ადგილზე შეხვედროდნენ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ბიზნესკომპანიების წარმომადგენლებს, გაეზიარებინათ მათთვის საკუთარი გამოცდილება, აგრეთვე უფრო ინტენსიურად ემუშავათ პროექტის მონაწილე ორგანიზაციებთან. მოწვეული სტუმრები გახლდნენ ექსპერტები სლოვაკეთის ფონდიდან – ,,პონტისი”, რომლებიც წარმატებით მუშაობენ კორპორაციულ ფილანტროპიაზე, კორპორაციულ მოხალისეობასა და კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე.

**ერთკვირიანი ვიზიტის ფარგლებში მოეწყო:**

- სემინარი – ,,კორპორაციული მოხალისეობა და კორპორაციული ფილანტროპია – სლოვაკეთის გამოცდილება”. სემინარს ესწრებოდნენ საკითხით დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
- შეხვედრა ,,ამერიკის სავაჭრო პალატის” კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ახლად დაარსებული კომიტეტის წევრებთან;
- სამუშაო შეხვედრა გაეროს ,,გლობალური შეთანხმების” რეგიონული ქსელის (lobal Compact) სამეთვალყურე საბჭოს წევრებთან;
- საკონსულტაციო შეხვედრები სოციალური პასუხისმგებლობის და სოციალური მეწარმეობის მიმართულებით მომუშავე ცენტრის თანამშრომლებთან და პროექტის მონაწილე ორგანიზაციებთან.

### კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სწავლების დანერგვის ხელშეწყობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში

ექსპერტების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა და სადისკუსიო შეხვედრებზე გამოთქმულმა მოსაზრებებმა აჩვენა, რომ საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია სოციალური პროექტების განხორციელების მეთოდებისა და მიდგომების შესახებ ცოდნისა და კომპეტენციის ნაკლებობა. აღნიშნული პრობლემის მოგვარების ქმედითი საშუალებაა ბიზნესსკოლების საგანმანათლებლო პროგრამებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საგნის ჩართვა. ამ გზით ახალი თაობის მენეჯერები დაეუფლებიან საბაზისო უნარ-ჩვევებს და მიიღებენ ცოდნას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში. შედეგად, საკითხში გარკვეული ადამიანები მზად იქნებიან დანერგონ სოციალური პასუხისმგებლობის მიდგომები და ფასეულობები იმ ბიზნესკომპანიებში, რომლებშიც დაიწყებენ მუშაობას. ყოველივე ამის გათვალისწინებით, „ცენტრს“ მნიშვნელოვნად მიაჩნია საქართველოს ბიზნესუნივერსიტეტების პროგრამებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საგნის ჩართვა. გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა.

**კავკასიის ბიზნესსკოლის მიერ გამოთქმული ინტერესის საფუძველზე, „ცენტრის“ ექსპერტმა 2011 წელს მოამზადა სალექციო კურსი კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობის შესახებ და ჩაატარა ლექციების პირველი საცდელი კურსი. 2012 წელს აღნიშნული კურსი გახდა სავალდებულო კავკასიის ბიზნესსკოლის ბიზნესადმინისტრირების ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის.**

კურსის მიზანია წარმოდგენა შეუქმნას სტუდენტებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის რაობის, ძირითადი პრინციპებისა და კომპონენტების, მისი ჩამოყალიბების ისტორიისა და წინა პირობების შესახებ; ამ სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილების, ტენდენციებისა და ადგილობრივი კონტექსტის შესახებ, აგრეთვე კონკრეტული კომპანიებისათვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის მნიშვნელობისა და დადებითი შედეგების შესახებ; კურსი მიზნად ისახავს აგერთვე გააცნოს სტუდენტებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ინსტრუმენტები, კონკრეტული ბიზნე კომპანიიის საქმიანობაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების დანერგვისა

dation - “Pontis”, which is successfully working on corporate philanthropy, corporate volunteering and corporate social responsibility.

**The following events were held during a week long visit:**

- Seminar - Corporate Volunteering and Corporate Philanthropy – The Slovak Experience. The seminar was attended by organisations interested in the issue;
- Meeting with members of the newly established committee in American Chamber of Commerce on corporate social responsibility;
- A workshop with members of the supervisory board of the UN Global Compact regional network;
- Consultation meetings with CSRDG experts working in social responsibility and social enterprise and project partner organisations.

### Support for Teaching Corporate Social Responsibility in Georgian Universities

